CIAN MAGENTA YELLOW BLACK

# ალია

~~1 ლარი~~ 70 თეთრი

N30/2960/ 27 თებერვალი 2014 წ ფასი 70 თ

ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

**რა მეთოდით ცდილობენ ადვოკატები მერაბიშვილის გადარჩენას?**



**სევდია უგრეხელიძის მერიას ახალ კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებენ**



**როგორ აფასებს ყოფილი ადვოკატი მანანა კობახიძე მეგობარი ზაზა ხატიაშვილის განცხადებებს?**



**რამდენი შეშფოთება და აღშფოთება საჭირო რუსული ინტერვენციის შესაჩერებლად?**



## ექსკლუზივი

## რა მოუნოდა და რისთვის ემზადებიან ემზარ კვიციანის მხარდამჭერები



- რა აღიარა კვიციანმა „ალიასთან“?
- ვისთან და რისთვის ჩავიდა მოსკოვში საპატრულოს ყოფილი შეფი გიორგი გეგეჭკორი
- რაში სდებს ბრალს კვიციანი ირაკლი ალასანიასა და ოქრუაშვილს

## ექსკლუზივი

## რას ხარჯავს მინისტრობისას ნარმანია?

### და რას უზამს მერობისას თბილისის ბიუჯეტს?



ავტოსატრანსპორტო საშუალებებში – 1 989 161 ლარი; საწვავში – 6 046 984 ლარი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექმომსახურებასა და რეცხვაში – 524 147 ლარი; კომპიუტერულ ტექნიკაში – 572 640 ლარი; ავეჯში – 81 749 ლარი; მობილურ ტელეფონებში – 32 364 ლარი; ვიდეოკამერაში – 10 493 ლარი;

## ექსკლუზივი

## როგორ მოხვდა წითელი ცირკულარით ძებნილი თემურ ბასილია პრემიერ ღარიბაშვილის შეხვედრაზე

- რისთვის მიუსაჯეს ბასილიას ცხრა წელი?
- რას აპირებენ ინტერპოლით ძებნილი ასლან აბაშიძე და ლევან მამალაძე?



ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### ჯონ კერი საქართველოს გაზაფხულზე ეწვევა



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი საქართველოს გაზაფხულზე ეწვევა.

„თქვენი მთავრობა არის მომავალზე ორიენტირებული, რომელიც დარწმუნებული ვარ, სწორად წაიყვანს ქვეყანას“, – აღნიშნა კერიმ ღარიბაშვილთან შეხვედრისას.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებით დაინტერესდა და ე.წ. ბორდერიზაციის საკითხზე შეშფოთება გამოთქვა.

შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ საქართველოს დემოკრატიული განვითარება, ევროპული და ევროატლანტიკური არჩევანი არ გადაიხედება, აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავება კი საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. (ინტერპრესნიუსი)

### ივანიშვილის პორტრეტი 2000 დოლარად იყიდება



25 თებერვალს ინტერნეტსაიტზე mymarket.ge კატეგორიაში – იყიდება, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ნახატი გამოჩნდა.

როგორც სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ გრაფაშია მითითებული, სურათს კერძო მესაკუთრე ყიდის და მისი საწყისი ფასი 2000 დოლარია.

ფერწერული ტილო ზეთშია შესრულებული და მისი ზომებია 101X82. ნახატი 6189-ჯერ არის ნანახი, თუმცა, როგორც ჩანს, მყიდველი ჯერ არ გამოუჩნდა.

პორტრეტის ავტორი მხატვარი დემურ გრიგოლია აღმოჩნდა. მისი თქმით, ნახატზე დაახლოებით 20 დღე მუშაობდა. „ეს ნახატი ბატონ ბიძინასთვის შევქმენი, რადგან ის ჩემთვის ღმერთივით კაცია. სამხატვრო აკადემიაში ვასწავლი და გაყიდვა არც მიფიქრია, მაგრამ ჩემმა შვილმა გადაწყვიტა ასე და მეც დავთანხმდი“, – აცხადებს გრიგოლია. (პირველი)

## ღარიბაშვილი სააკაშვილის დაბრუნების წინააღმდეგი არ არის



ატლანტიკურ საბჭოში გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს „ამერიკის ხმის“ კორესპონდენტმა ჰკითხა, შეუძლია თუ არა საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საქართველოში დაბრუნება?

რაზეც პრემიერმა უპასუხა: „ის საქართველოს მოქალაქეა, ამიტომ რატომაც არა, მას შეუძლია დაბრუნება. მან ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დატოვა. ვერ შეგპირდებით, რომ ხალხს ენატრება ის, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეუძლია დაბრუნება. მას ჯერაც საქართველოს მოქმედი პასპორტი აქვს. ასე რომ, შეუძლია ყოველგვარი პრობლემების გარეშე მოგზაურობა“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## ლარი ეროვნულმა ბანკმა გაამყარაო

საქართველოს ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განცხადებით, დოლარის უმნიშვნელოდ გაძვირებაში საგანგაშო არაფერია.

„უმნიშვნელოდ გაძვირდა, მაგრამ მე მინდა ვთქვა, რომ უჩვეულო არაფერი ხდება. თქვენ თუ შეხედავთ ნებისმიერ ჩვენს მეზობელ ქვეყანას, ვალუტის კურსი მუდმივად ცვალებადია. წელს უკვე ეროვნულმა ბანკმა დოლარები იყიდა იმისთვის, რათა კურსის რყევა ძალიან დიდი არ ყოფილიყო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს პროცესი არის ბუნებრივი და არაფერი საგანგაშო არ ხდება“, – განაცხადა მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...



# რამდენი შეშფოთება და აღშფოთებაა საჭირო რუსული ინტერვენციის შესაჩერებლად?

პრეზიდენტი მარგველაშვილი საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს, მავთულხლართების გაბმის წინააღმდეგ „ჩვენთან ერთად ხმა აიმაღლონ“.

„მინდა, მივმართო საერთაშორისო თანამეგობრობას, რომ ჩვენთან ერთად ხმა აიმაღლოს ამ სრულიად უკანონო ქმედების წინააღმდეგ. ეს არის ქმედება, რომელიც მიმართულია კონფლიქტის გართულებისკენ. მავთულხლართების გაბმა ხდება მხოლოდ იმისთვის, რომ მოხდეს კონფლიქტის შენარჩუნება“.

**„ალიას“ ესაუბრება საერთაშორისო ექსპერტი სოსო ცინცაძე:**

**— ბატონო სოსო, დავუშვათ საერთაშორისო თანამეგობრობამ მოისმინა მარგველაშვილის მოწოდება, რა უნდა გააკეთონ, რომ რუსეთმა მავთულხლართების გაბმა შეწყვიტოს?**

– რა, მანამდე მავთულხლართების გავლების საკითხი არ დააყენა ღარიბაშვილმა აშშ-ს პრეზიდენტთან? რიტორიკა კი არ არის მთავარი, პოლიტიკაში მთავარი არის შედეგი, მხოლოდ შედეგით იზომება პოლიტიკა. პრემიერის ვიზიტში მნიშვნელოვანი არ არის, რომ ობამამ კარები შეაღო ან მხარზე ხელი დაარტყა მეგობრულად, ბოდიში და, რუსეთს ეს ყველაფერი მაგრად კიდია.

შეშფოთება აღშფოთება და წუხილი აუცილებლად გაგრძელდება, მაგრამ ხელსაც არავინ გაანძრევს. ბოლო მაგალითი ავიღოთ, უკრაინასთან დაკავშირებით უკვე ევროპაც და ამერიკაც ადგას იმ გზას, რომ რუსეთთან თანამშრომლობის გარეშე უკრაინის პრობლემა არ გადაწყდება. 25 თებერვალს ბრიუსელში ხუთი განცხადება მაინც გაკეთდა ამის თაობაზე და გეტყვით გულახდილად, რომ დასავლეთი ისევ თავის ძველ ორმაგ სტანდარტს გვეთამაშება. მოდით, „გუშინდელი დღეც“ გავიხსენოთ. საერთაშორისო თანამეგობრობამ ბელორუსი დაკარგა სამი მილიარდი დოლარის გულისთვის, ლუკაშენკო სთხოვდა მათ სამ მილიარდ დოლარს და ვერ მიიღო, ამის შემდეგ ლუკაშენკო ჩაეხუტა რუსეთს. უკრაინაც დაკარგა საერთაშორისო თანამეგობრობამ, როდესაც ისინი სთხოვდნენ 15 მილიარდ დოლარს. ახლა 20 მილიარდი ევრო მისცეს და თან ეუბნებიან, ნუ გეშინიათ, კიდევ მოგცემთო. მარტში უკრაინამ თუ არ მიიღო კიდევ ერთი მაგდენი, დეფოლტია ქვეყანაში. დღეს რუსეთის ფედერაციის საბჭომ შექმნა უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მონიტორინგის ჯგუფი, დასავლეთმა ამაზე ხმა არ ამოიღო. ვინ ეკითხება რუსეთს, სუვერენულ ქვეყანაში როგორ მიდის მოვლენები, ამის მონიტორინგის? ამაზე ევროპა გაჩუმდა, ხმა არავის ამოუღია. როგორ ფიქრობთ, საერთაშორისო თანამეგობრობის ამ პოზიციის შემდეგ ვინმე იმოქმედებს რუსეთის წინააღმდეგ საქართველოში მცოცავი ოკუპაციის გამო? უნდა ვისწავლოთ ჩვენ ჭკუა, უკვე აღარ არის დრო? მარგველაშვილის განცხადება რას ნიშნავს? არაფერს.

**— დავანებოთ მარგველაშვილს თავი, აგვისტოში ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერთ ხელს, ინგლისის სამიტზე ამერიკა მოითხოვს ჩვენთვის „მაპ“-ის მოცემას, ეს პროცესი წინ არ წაგვწევს და რუსეთს არ მოუწევს, შეწყვიტოს მავთულხლართების გავლება?**

– კატეგორიულად არა. რუსეთზე არაფერი არ მოქმედებს, არავითარ „მაპ“-ს ჩვენ არ მოგვცემენ. დაიმახსოვრეთ დღევანდელი დღე, თუ ჩვენ „მაპი“ მოგვცეს, გაძლევთ სიტყვას, რომ მე საერთოდ შევწყვეტ ინტერვიუების გაცემას და ვიტყვი, რომ დეგენერატი ვყოფილვარ. ჩვენ უბრალოდ სექტემბერში რაღაცას გვეტყვიან, მოიგონებენ. გახსოვთ, გია ბარამიძემ რომ თქვა ბუქარესტის სამიტზე, „მაპი“ არა, მაგრამ უკეთესი მოგვცესო, აი, მაგდაგვარს იტყვიან რამეს. რუსეთი ომს დაიწყებს მაშინვე, თუკი ჩვენ „მაპი“ მივიღეთ და აწყობს დღეს ვინმეს რუსეთთან ომი ჩვენ გამო? რა თქმა უნდა, არავის. ვისაც ამის სჯერა, ის უბრალოდ ბრიყვია. ჩვენ სხვა გზები უნდა გამოვნახოთ რუსეთთან ურთიერთობის დასალაგებლად.

**— „სხვა გზები“ რა არის?**

– რა გზებია და ჩვენ უნდა დავიწყოთ რუსეთთან ფართომასშტაბიანი, ნამდვილი მოლაპარაკება და მივხვდეთ, რომ კარასინ-აბაშიძის ეს ფლირტი ამოწურულია და უნდა გადავიდეთ სხვა ეტაპზე. აი, სამ მარტს მიდის ზურაბ აბაშიძე შეხვედრაზე და რა იქნება კარასინთან შეხვედრის შედეგი? დიდი-დიდი ორი რეისი დაემატოს ამ ფრენებს, მაგრამ ეს მავთულხლართები კიდევ გაგრძელდება, რადგან მათ შორეული მიზნები აქვთ. ეს მიზნები რა არის? მავთულხლართების გადმოწევით ქართველი გლეხები კარგავენ საძოვრებს, საძოვრებს რომ კარგავენ რას ნიშნავს? სოციალური მდგომარეობა უარესდება და უკმაყოფილება იზრდება საქართველოს ხელისუფლებისადმი.

ჩვენ საბოლოოდ უნდა გავერკვეთ ერთ რამეში, კონკრეტულად დღეს პუტინი რას ელოდება საქართველოსგან. ჩვენ არ ვიცით ეს. ის არ ელოდება რომ ჩვენ აფხაზეთსა და ოსეთს ვაღიარებთ, ეს პუტინს სულ არ აინტერესებს, პუტინი ამისთვის თავს არ მოიკლავს. სხვა ურთიერთობაა აქ საჭირო. რუსეთი ყველანაირად ცდილობს, დაამტკიცოს, რომ პირდაპირი დიალოგით მოგვარდეს ეს პრობლემა. რუსეთის დიპლომატია რაზეა აგებული? პირდაპირ დიალოგზე. ისინი ამბობენ, არავითარი შუამავლები, არავითარი თეთრი სახლი, არავითარი ევროკავშირი და ნატო, მოდი და პირდაპირ დამელაპარაკე. ესაა სწორედ გამოსავალი, პირდაპირი საუბარი, თორემ წლებმა დაგვარწმუნა, რომ არავინ არ გადაჭრის ჩვენს პრობლემას, ჩვენ გარდა. ამიტომ აუცილებელია ირაკლი ღარიბაშვილისა და პუტინის შეხვედრა. ფართომასშტაბიან მოლაპარაკებაში ეს იგულისხმება, სხვა დანარჩენი წყლის ნაყვაა.

შორენა გოგოლაძე
599 27 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნაცმოძრაობა“ თბილისის პარლამენტის კაბინეტებში არ შევა



უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტის კომიტეტის სხდომების თბილისში განახლების შემთხვევაში მასში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ რუსთაველის №8-ის სამუშაო კაბინეტებში არ შევა.

„არ მესმის, ვერ მუშაობს პარლამენტი ქუთაისში?! შენობა არ არის?! პირობები არ არის?! ბევრი ილაპარაკეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წელიწადი და სამი თვეა, პარლამენტი ქუთაისში ნორმალურად მუშაობს. რაიმე შეფერხება ყოფილა?! რაიმე კანონი ვერ მიგვიღია?! გრავიტაცია დარღვეულა ქუთაისში?! რა ახირებაა ახლა ეს! ფულის ხარჯვაზე ჩვენ გვედავებიან და თბილისში, პარლამენტის შენობისთვის უკვე დახარჯულია რამდენიმე მილიონი ლარი. ვინმემ ამიხსნას, რად უნდა პარლამენტის წევრს ორი კაბინეტი? – ესე იგი, ცალკე კაბინეტი ექნებათ თბილისში და ცალკე – ქუთაისში და რა საჭიროა ეს ფუფუნება?! პარლამენტი იქნება ქუთაისში და ეს გადაწყვეტილება ჩვენთვის არ შეიცვლება! ამ თემაზე ჩვენ არ ვვაჭრობთ! როდესაც დავით ბაქრაძემ გიორგი მარგველაშვილს მოუწოდა, რომ პრეზიდენტის სასახლეში შევიდეს, მან ეს იმიტომ თქვა, რომ პრეზიდენტის სასახლე უკვე ქვეყნის სიმბოლოა. მაშინ ამ ლოგიკით, მიხეილ სააკაშვილის დაგებულია გზები და ნუ დადიან ამ გზებზე. სააკაშვილის დროს არის აშენებული და ნუ შედიან იუსტიციის სახლში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროში. ნუღარ შევლენ პოლიციის შენობებში, სასამართლოებში, რომელიც ყველგან აღდგენილი და გარემონტებულია. ნუ მიდიან და ნუღარ ქეიფობენ პიაცაზე, რომ აღარ იციან ზაფხულში როგორ მოიწონონ თავი სტუმრებთან. რაც შეეხება პარლამენტის კომიტეტის სხდომების თბილისში ჩატარებას, თუ ასეთი გადაწყვეტილება იქნება მიღებული და თავს კომფორტს უქმნიან, ჩვენ კომიტეტის სხდომებს დავესწრებით წალენჯიხაშიც, ჩხოროწყუშიც, ფოთშიც, თელავშიც და თბილისშიც. ჩვენ უმრავლესობას საშუალებას არ მივცემთ, რომ კომიტეტის სხდომებზე მარტო დარჩნენ და გადაწყვეტილებები მარტო მიიღონ. რაც შეეხება სამუშაო კაბინეტს – მე, მიხეილ მაჭავარიანს, მანდ სამუშაო კაბინეტი არ მექნება! რად უნდათ დეპუტატებს ორი კაბინეტი?! მიმაჩნია, რომ დღეს ქვეყანას არა აქვს იმის ფუფუნება, რომ დეპუტატებს ჰქონდეთ ორ-ორი კაბინეტი, ორ-ორი ოფისი, ავეჯის ორ-ორი კომპლექტი ქუთაისში და თბილისში და შემდეგ შეიძლება ვინმეს ეს ბათუმშიც მოუნდეს. მილიონიანი გარღვევის მქონე ხელისუფლება რესურსს ამაში არ უნდა ხარჯავდეს და სხვა საფიქრალი უნდა ჰქონდეს“, – განაცხადა მაჭავარიანმა. (ინტერპრესნიუსი)

## ყოფილი პოლიციელები შს მინისტრის დაკითხვას მოითხოვენ



ყოფილი პოლიციელები ყოფილი კოლეგის, ადვოკატ გოგა ონიანის საქმესთან დაკავშირებით შს მინისტრის დაკითხვას მოითხოვენ.

„გოგა ონიანი და შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ერთად მუშაობდნენ. ონიანი ჭიკაიძის უფროსი იყო. მინდა, პროკურატურამ, საზოგადოებამ, მედიამ ამ ადამიანს დაუსვან კითხვები. იმ პერიოდში, რა პერიოდსაც ედავებიან ონიანს, ჭიკაიძე საკმაოდ აქტიური, კარგი, ძლიერი პოლიციელი იყო და მის გარეშე პრაქტიკულად, არც ერთი ღონისძიება არ ტარდებოდა. ძალიან გამიკვირდა, როდესაც ბატონმა ალექსანდრემ განაცხადა, მე არ ვმონაწილეობდი 26 მაისის პროცესებშიო. ამ პროცესებში არ მონაწილეობდნენ მხოლოდ ის პოლიციელები, რომლებიც რეალურად ავად იყვნენ“, – განაცხადა შსს-ს ყოფილმა თანამშრომელმა ირაკლი ჩხვირკიამ. (ფრონტნიუსი)



# რა მოუწოდა და რისთვის ემზადებიან ემზარ კვიციანის მხარდამჭერები

## • რა აღიარა კვიციანმა „ალიასთან“?

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული, ემზარ კვიციანი 27 თებერვალს საქართველოში ბრუნდება. ამის შესახებ ინფორმაცია თავად კვიციანმა „ფეისბუკის“ საშუალებით გაავრცელა:

„მეგობრებო, დღეს (ანუ 26 თებერვალს. – გ.ზ.) მქონდა სასამართლო და ჩემი საოცნებო დეპორტიც მივიღე! ბილეთი აღებული მაქვს. 27.02.2014 წლის 16:00 საათზე თბილისში ვიქნები. თქვენი თანადგომა დამჭირდება. ვისაც სურვილი და საშუალება გექნებათ, გთხოვთ, მობრძანდეთ აეროპორტში! მაქვს ინფორმაცია, რომ ჩვენი ქვეყნის მტრები ჩვენივე თანამოქალაქეების ხელით პროვოკაციის მოწყობას გეგმავენ! დანარჩენს ადგილზე მოგიყვებით! დიდება ღმერთს!“

26 თებერვალს ემზარ კვიციანი მოსკოვში მცხოვრებ ზაზა გაბედავასთან იმყოფებოდა. ზაზამ თავად მომწერა, კვიციანს ხვალ მე ვაცილებ თბილისში, იმედია, მშვიდობით ჩამოვაო. ბუნებრივია, მე შევთავაზე, ემზარ კვიციანი თვითონ დამლაპარაკებოდა, მაინტერესებს, რატომ გადაწყვიტა მაინცდამაინც ახლა ჩამოსვლა, ხელისუფლება ხომ წელიწად-ნახევრის წინ შეიცვალა-მეთქი? კვიციანმა ინტერვიუზე უარი თქვა, სანამ ჩამოვალ, ყველა ჟურნალისტს უარს ვეუბნები, მერე კი ყველაფერს მოგიყვებითო.

**ამის შემდეგ ჩემსა და ზაზა გაბედავას შორის იმართება ასეთი დიალოგი:**

**— ზაზა, ემზარი რა დეპორტზე ლაპარაკობს, რუსეთიდან აგდებენ?**

– სახელმწიფო აძლევს საბუთს და ეუბნება: მიბრძანდი სახლში. ეს არის დეპორტი, თვითონ „იჩალიჩა“ იმიტომ, რომ სახლში უნდა წასვლა. ეს ერთგვარი გაძევებაა.

**— ამდენი ხანი რუსეთში არალეგალურად იმყოფებოდა, ხომ?**

– კი, არალეგალურად იყო, საბუთი, რაც ჰქონდა, დაკარგა. თუ დეპორტს არ გააკეთებდა, აეროპორტში არ გამოატარებდნენ, თვითმფრინავში ვერ ჩაჯდებოდა.

**— შენი ვაჟი, გიორგი გაბედავა აცხადებს, ემზარ კვიციანს თბილისის აეროპორტში დააკავებენ და ამიტომ ბევრნი უნდა დავხვდეთო. ვერ გავიგე, თუ დაკავება უნდათ, ტრაპიდანვე აიყვანენ, ბევრი ხალხი რას უშველის?**

– გელა, ძალიან ბევრი ხალხი ხვდება, მთელი სვანეთი ჩამოდის.

**— თუ აიყვანეს, წინააღმდეგობა იქნება?**

– ხალხი ფეხზე დადგება... რა დანაშაული აქვს? თვითონ ამბობს, პროკურატურასთან ვითანამშრომლებ, ჩემს ოჯახში მშვიდი და წყნარი ცხოვრება მინდაო, პოლიტიკაში საერთოდ არ ჩავერევიო. კაცი მიშას არ დაემორჩილა, რაზე უნდა დაიჭირონ? ემზარი ამბობს, მირჩევნია დამიჭირონ და საქართველოში ვიყო, ვიდრე რუსეთშიო.

**— თვითონ რამე გარანტია აქვს, ან თავდებში უდგება ვინმე?**

– არა, არავითარი გარანტია არა აქვს... თუ ორ-სამ დღეში არ წამოვა თბილისში, აქ მაინც დაიჭერენ.

**— ემზარ კვიციანი მანდ რას აკეთებდა, ახლა მაინც ხომ შეიძლება, რომ ითქვას?**

– რა ვიცი... თავისთვის პატარა ბიზნესი ჰქონდა. თვითონ იძახის, თბილისში რომ ჩავალ, ყველაფერს მოვყვებიო. არ დამავიწყდეს, ერთიც უნდა გითხრა: ახლა არაკაცი გოგა გეგეჭკორია ჩამოთრეული მოსკოვში, საპატრულოს ყოფილი უფროსი. მე მაგას ვიპოვი ძალიან მალე და პასუხს მოვთხოვ. ეს არაკაცი ჩემს შვილსაც და ყველას სცემდა. „გნაცები“ იძახიან, რუსეთის დედა მოვტ...ანითო და მაინც აქ გამორბიან. ვითომ მანდ ვინმე სდევნიდა და ამიტომ გამოიქცა, სინამდვილეში თავის „მაყუთიან“ სიმამრთან ჩამოეთრა, გემები ჰყავს და რამე.

**— გეგეჭკორის სიმამრი ვინ არის?**

– გულიკო ხარჩილავა, მიხეილ სააკიანის ნათესავია დედის მხრიდან. წალენჯიხელია წარმოშობით, ფორმით კაცია, მაგრამ გულიკო ჰქვია. მოკლედ, კვიციანზე მეტს ვერაფერს გეტყვი, ჩამოვა და ყველა შეკითხვაზე პასუხს გასცემს.

### რისთვის დევნიდა სააკაშვილის ხელისუფლება კვიციანს?

2006 წლამდე ემზარ კვიციანი კოდორის ხეობაში გასამხედროებულ რაზმს – „მონადირეს“ მეთაურობდა, ხეობას მთლიანად იცავდა და აკონტროლებდა. 2006 წლის ივლისში სააკაშვილის ხელისუფლებამ მას იარაღის ჩაბარება და რაზმის დაშლა მოსთხოვა. მან ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. ცნობისთვის: ემზარ კვიციანი, კოდორის ხეობის ადგილობრივი მკვიდრი, ედუარდ შევარდნაძის წარმომადგენელი იყო ხეობაში. თუმცა, ეს თანამდებობა 2004 წლის დეკემბერში აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, ირაკლი ალასანიას გადაწყვეტილებით გაუქმდა. სწორედ ირაკლი ალასანიას ადანაშაულებს ემზარ კვიციანი იმაში, რომ კოდორის ხეობა მთლიანად განაიარაღა, შემდეგ ამ ხეობას სააკაშვილმა ზემო აფხაზეთი უწოდა და 2008 წლის აგვისტოში რუსებს ჩააბარა.



რაც შეეხება კონკრეტულად „მონადირეს“, რომელშიც დაახლოებით 400 კაცი შედიოდა, თავის დროზე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხეობის დაცვის მიზნით შეიქმნა. ჯგუფი 2002 წელს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა. თუმცა, 2005 წელს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა დაშალა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ეს გადაწყვეტილება მაშინ ირაკლი ალასანიამაც გააკრიტიკა, რაც ოქრუაშვილთან დაპირისპირების მიზეზი გახდა.

იმ პერიოდში ემზარ კვიციანი აცხადებდა: „ჩვენ უნდობლობას ვუცხადებთ ხელისუფლებას, ოქრუაშვილმა ჩვენს წინააღმდეგ ომი გამოაცხადა და 27 ივლისს ხეობაში შემოჭრას გეგმავს. ნებისმიერი შეიარაღებული ძალა, რომელიც ხეობაში შემოვა, მოგერიებული იქნება“.

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

*გაგრძელება მეოთხე გვერდზე*

## მარგველაშვილი კახეთს ესტუმრა



საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანს ესტუმრა, მოსახლეობას გაესაუბრა და მათ წინაშე არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია მოისმინა. ცნობისთვის, ზინობიანში ისტორიული კავკასიის ალბანეთის მემკვიდრე მოსახლეობა – უდიები – ცხოვრობენ. ქვეყნის პირველმა პირმა სოფლის სკოლაში არსებული მუზეუმი დაათვალიერა, სადაც უდიების კულტურული მემკვიდრეობის ნივთები და ეთნოგრაფიული ექსპონატებია განთავსებული. მუზეუმში ასევე ფოტომასალისა და წიგნების სახით თავმოყრილია ისტორიული მონაცემები, გაქრობის ზღვარზე მყოფი უძველესი მართლმადიდებელი ერის შესახებ. მსოფლიოში უდიებით კომპაქტურად დასახლებული სულ ორი სოფელია, მათ შორის ერთი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობს. (ინტერპრესნიუსი)

## მოსკოვში ე.წ. კანონიერი ქურდის შვილის დაჯგუფების წევრები დააკავეს

რუსული მედიის ინფორმაციით, მოსკოვში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდის რამაზ ბარკალაიას შვილის, 26 წლის მერაბ ბარკალაიას დაჯგუფების 17 წევრი დააკავეს. ისინი მოსკოვში ბინების ძარცვითა და ყაჩაღობით იყვნენ დაკავებული.

გავრცელებული ინფორმაციით, ბარკალაია-უმცროსის დაჯგუფებაში ქართველების გარდა, აფხაზებიც იყვნენ.

სპეცოპერაციის დროს, ოპერატიულმა მუშაკებმა მათ სახლებში 150 საიუველირო ნაწარმი, 17 ქურქი, 60-მდე მობილური ტელეფონები, 11 ხატი და სხვა ნივთები აღმოაჩინეს. საერთო ჯამში კი, მათ მიერ ნაძარცვი ნივთების ღირებულებამ 15 მილიონ რუბლზე მეტი შეადგინა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## აი, რატომ გაუგრძელებიათ მავთულხლართების გაბმა



ექსპერტის კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძის განცხადებით, პარადოქსულია, მაგრამ ასე მოხდა, რომ საქართველოს ყოფილი და ახლანდელი ხელისუფლების გარკვეულმა აქტიურობებმა განაპირობა მავთულხლართების გავლების პროცესის გაგრძელება. მისი თქმით, მავთულხლართების გავლების პროცესის გაგრძელებას, ერთი მხრივ, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლებმა კიევში და მეორე მხრივ, ღარიბაშვილი-ობამას შეხვედრამ შეუწყო ხელი. როგორც ექსპერტმა აღნიშნა, რაც ხდება კონფლიქტის ზონაში მისთვის მოულოდნელი იყო.

„ვიცოდი, რომ ეს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ასე უცებ, ოლიმპიადის დასრულების მეორე დღეს არ ველოდი. გამოიკვეთა, რომ ეს არის შეგნებული პოლიტიკური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პირველ რიგში ადგილობრივი, ე.წ. ბუფერულ ზონაში მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის სახნავ-სათესისა და სათიბის შეგნებულად წართმევას“, – განაცხადა არეშიძემ.

არეშიძის თქმით, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მაქსიმალურად დაეხმაროს ე.წ. ბუფერულ ზონაში მაცხოვრებლებს, თუნდაც ერთი მიზეზის გამო, რომ ადამიანებმა იქაურობა არ მიატოვონ. (ინტერპრესნიუსი)

## „ოცნებამ“ „ნაცმოძრაობას“ ხელისუფლების გახანგრძლივებაში უკვე გაასწრო



„დემოკრატიული მოძრაობის“ ინფორმაციით, „ქართული ოცნება“ ცდილობს, წინასწარ გაიძლიეროს საკუთარი პოზიციები მომავალი არჩევნებისთვის.

„დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივნის, გიგლა ბარამიძის განცხადებით, „ნაცვლად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ შეისმინოს საზოგადოების, არასამთავრობო სექტორისა და პოლიტიკური ძალების მოწოდება და გააუმჯობესოს უსამართლო საარჩევნო გარემო, ის კიდევ უფრო ამძიმებს მას და ცდილობს, წინასწარ გაიძლიეროს საკუთარი პოზიციები მომავალი არჩევნებისთვის.

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა, ყოველგვარი საზოგადოებრივი განხილვების გარეშე, მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და შეიტანა ცვლილება კანონში „საჯარო სამსახურის შესახებ“, რომლის გამო, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საქართველოს 13 000 მოქალაქე უმუშევარი დარჩება“, – განაცხადა ბარამიძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული ცვლილება გულისხმობს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულებისთვის შრომის ურთიერთობის შეწყვეტას და ახალი კონკურსის გამოცხადებას. ბარამიძის შეფასებით, კანონის ეს რეგულაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და შრომის კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის მთავარ პრინციპებს, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიას და თავად „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს.

„ქართული ოცნების“ ასეთი უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი აქტივისა და მხარდამჭერების მოსყიდვა დასაქმების პერსპექტივით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის უფრო ეფექტურად გამოსაყენებლად. რამდენადაც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, ანალოგიური ქმედების გამო გასამართლდა და მიეცა პასუხისგებაში ექსპრემიერი ვანო მერაბიშვილი. (ინტერპრესნიუსი)

## „ნაცმოძრაობა“ ონიანის თავდებით გამოშვებას სამართლიანად მიიჩნევს



ადვოკატ გიორგი ონიანთან დაკავშირებით, სასამართლოს დღევანდელ გადაწყვეტილებას „ნაციონალური მოძრაობა“ სამართლიანად აფასებს. აკაკი მინაშვილის განცხადებით, მოსამართლემ და სასამართლომ ამ შემთხვევაში ზეწოლას გაუძლო.

„გამოვიდა სამართლიანი გადაწყვეტილება. ჩვენ ვთვლიდით, რომ გირაოც არ უნდა შეფარდებულიყო. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს ნიშნავს, რომ გიორგი ონიანი იქნება თავისუფალი“, – აღნიშნა მინაშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

## იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით დააკავეს



შსს-ს აჭარის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული რომან დ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ბრალდებით ბათუმში, ლერმონტოვის ქუჩაზე ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას „ბერეტას“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 1 მჭიდითა და 4 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# • ვისთან და რისთვის ჩავიდა მოსკოვში საპატრულოს ყოფილი შეფი გიორგი გეგეჭკორი

# • რაში სდებს ბრალს კვიციანი ირაკლი ალასანიასა და ოქრუაშვილს

*მესამე გვერდიდან*

ამის შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა შენაერთის წევრებს კრიმინალურ საქმიანობაში დასდო ბრალი. თუმცა, მოგვიანებით სიტუაცია ჩაწყნარდა, მაგრამ კვიციანი პერიოდულად მაინც აკეთებდა ასეთ განცხადებებს: „რაც ხელისუფლებაში ეს ახალი ძალა მოვიდა, ვგულისხმობ მერაბიშვილს, ბოკერიას, ჩვენ ბანდიტებსა და კრიმინალურ ბანდას გვეძახიან – ეს ის ტერმინია, რომელსაც ჩვენს წინააღმდეგ რუსები და აფხაზები იყენებდნენ... დროა, აღვსდგეთ ამ ხელისუფლების უსამართლობის წინააღმდეგ“.

2006 წლის ივლისში განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად კვიციანის მომხრეების უმრავლესობა განიარაღდა. თავად კვიციანმა რამდენიმე ახლო პირთან ერთად გაქცევა მოახერხა. პოლიციამ კვიციანის ადგილსამყოფელზე ინფორმაციისთვის 100 ათასი ლარი ჯილდო დააწესა. ამას მოჰყვა მისი დის, ნორა კვიციანის დაპატიმრება იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით. ფაქტობრივად, ეს უფრო ხაფანგი იყო, მიხეილ სააკაშვილს ეგონა, დის გამო ემზარ კვიციანი საქართველოში დაბრუნდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, ის რუსეთში დარჩა. ნორა კვიციანი ციხიდან 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გათავისუფლდა.

სხვათა შორის, კოდორელების ხელისუფლებასთან დაპირისპირების გამო დააპატიმრეს ირაკლი ბათიაშვილიც, როცა მან კვიციანს დაურეკა და უთხრა: გამაგრდით, მე თქვენთან ვარო. ვანიჩკა მერაბიშვილმა მაშინ ეს ჩანაწერი დიდი ზარ-ზეიმით გამოაქვეყნა და ჩვეული ბლუყუნით დაგვმოძღვრა, ესენი ქვეყნის წინააღმდეგ გამოდიან, ინტელექტუალური მხარდაჭერა აღმოუჩინაო.

პოლკოვნიკი კვიციანი 2006 წლის ივლისიდან სამხედრო ამბოხებისა და ტერორისტული აქტების მოწყობის ბრალდებით იძებნება. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ კანონის მიხედვით მას აუცილებლად დააკავებენ. შემდეგ რა მოხდება, სახლში გაუშვებენ თუ წინასწარ პატიმრობას შეუფარდებენ, ეს უკვე პროკურატურასა და სასამართლოზეა დამოკიდებული.

როდესაც „ოცნების“ პარლამენტში სიების შედგენა დაიწყო და ემზარ კვიციანს პოლიტდევნილის სტატუსი არ მიანიჭეს, ის ნაწყენი დარჩა. მაშინ ქალბატონმა ნორამ ასეთი განცხადება გააკეთა: „ემზარის საქმე მართლა გაუგებარია. ძალიან მიკვირს, რატომ არავინ ინტერესდება ამ საქმით. ეტყობა, ვიღაცას ეშინია, ემზარმა რამე ისეთი არ თქვას – ამიტომ არ აძლევენ მას პოლიტდევნილის სტატუსს? მას რუსეთის დატოვების უფლებაც არ აქვს – რატომღაც ასეთი საბუთი მისცეს“.

2005-2006 წლებში „ალია“ ინტენსიურად წერდა ემზარ კვიციანის შესახებ. მაგალითად, მაშინ სამხედრო ექსპერტი, თემურ მიქაუტიძე ამბობდა, რომ ცხენების ქურდი კვიციანისგან გმირი თვითონ სახელმწიფომ შექმნა: „ის რომ მხოლოდ კრიმინალი ყოფილიყო, რა უჭირდა – მისგან ხომ საქართველოს შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი და გმირიც კი გამოიძერწა! კვიციანი, როგორც „ლუბიმჩიკი“, შექმნა თვითონ სახელმწიფომ, გააძლიერა, პოლიტიკური სადავეებიც უბოძა და სამხედრო ძალაც. ახლა კი „დიდი წარმატებით“ გამოასწორა თავისი ჩაბინძურებული საქმე. ამისთვის დასჭირდა რადიკალიზმის გამოვლენა. დაე, ასე იყოს!“

„ალია“ იმაზეც წერდა, თუ ვინ არის ემზარ კვიციანი და საიდან გამოიძერწა. ამონარიდი ერთ-ერთი სტატიიდან:

„ის ერთი რიგითი სვანი ბიჭი იყო. დაიბადა სოფელ ჩხალთაში, მრავალშვილიან ოჯახში. ჰყავს სამი ძმა და ოთხი და. ის ნაბოლარაა. დიდხანს არავის შეჩხერია თვალში, სანამ აფხაზეთის კონფლიქტის დროს ხეობას საფრთხე არ დაემუქრა. მაშინ კოდორელებს ხატზე დააფიცა, რომ ხეობას არავის დაუთმობდნენ და ასეც მოიქცნენ. პირველად ემზარ კვიციანი ქართულ პოლიტიკაში ღიად მაშინ გამოჩნდა, როდესაც ხეობაში გაეროს დამკვირვებლები გაიტაცეს. 1995 წელს კვიციანმა ხეობა დატოვა და იქ შინაგანი ჯარი შევიდა. თუმცა 1998 წელს ის კვლავ ბრუნდება ხეობაში და პოლიციას კინწისკვრით მიერეკება.



მას კვლავ უცვლელი ხვდება რაზმ „მონადირის“ სრული შემადგენლობა. „მონადირის“ გაძლიერებამ გამოიწვია ის, რომ მისი შემქმნელი, ემზარ კვიციანი ხეობაში რწმუნებულის მოადგილედ დანიშნეს. ანალოგიური რაზმები შეიქმნა მესტიასა და ხევსურეთში. კვიციანის გავლენების გაფართოება უფრო და უფრო ძაბავდა თავდაცვის სამინისტროს ურთიერთობას საზღვრის დაცვის მაშინდელ ხელმძღვანელთან, ვალერი ჩხეიძესთან. კვიციანი მას არ ენდობოდა. თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე კი თვალდახუჭული ცხრა მთას იქითაც გაჰყვებოდა კვიციანს. სწორედ ამ უნდობლობამ შვა რაზმი „ხევსური“ და მესტიის რაზმი. ამასობაში კი ხეობაში გატაცებათა მთელი სერია დაიწყო.

ხეობაში მომხდარი 4 გატაცებიდან პირველის დროს ემზარ კვიციანი რწმუნებული არ ბრძანდებოდა. მაგრამ მაშინ ამ ფაქტს ძველი გუბერნატორი, ივერი ჭელიძე შეეწირა, კვიციანი კი მხოლოდ იმიტომ გარწმუნებულდა, რომ მძევლები უვნებელნი დააბრუნა... მოგვიანებით, ხეობაში ჰუმანიტარული ტვირთის ჩატანის დროს, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წევრები გაიტაცეს. თავის დროზე ამ ფაქტსაც კვიციანის ოინებს მიაწერდნენ. ფული მძევლებში არავის მოუთხოვია. ეს პრობლემაც ხეობის რწმუნებულმა მოაგვარა. მას შემდეგ კიდევ ორჯერ გაიტაცეს უცხოელი დიპლომატები... კვიციანმა არც ერთხელ არ დაასახელა გამტაცებლები. არგუმენტი ასეთი იყო – საიდუმლოს შენახვა მას ხატზე ჰქონდა დაფიცებული. ყველაზე ცხარე დაპირისპირება მას შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრთან, კახა თარგამაძესთან ჰქონდა. როდესაც შევარდნაძე კვიციანს ხეობაში თავის წარმომადგენლად გზავნიდა, თარგამაძემ მას ღიად უწოდა „პრესტუპნიკი“. კვიციანმა მაშინ „ალიასთან“ საუბრისას აღიარა ორჯერ ნასამართლობა – ძროხის ქურდობისთვის და ხულიგნობისთვის. რაც შეეხება მკვლელობას, ის მას ბოლომდე უარყოფდა. თუმცა „ალიას“ ინფორმაციით, საუბარი იყო გაგრაში მომხდარ მკვლელობაზე, როცა ქალაქის ერთ-ერთი კოლორიტი, ვინმე სიგუა მოკლეს. ზოგიერთი ინფორმაციით, ეს მკვლელობა თავის თავზე ერთმა სოხუმელმა ავტორიტეტმა აიღო... ყოველ შემთხვევაში, ეს ხმები სწორედ იმ დროიდან გავრცელდა, რაც ემზარ კვიციანი სახელისუფლებო თანამდებობაზე დაინიშნა“.

როგორც ხედავთ, „ალიას“ ემზარ კვიციანის საქმეების შესახებ უამრავი მასალა გააჩნია, რასაც ვრცლად ორშაბათის „კვირის ქრონიკაში“ იხილავთ. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, გმირია ის თუ კრიმინალი. ვნახოთ, დაჯდეს სამართალდამცავებთან და დაამტკიცოს თავისი სიმართლე. არც ის არის გამორიცხული, კვიციანმა სამართალდამცავები ისეთ ადამიანებზეც გაიყვანოს, ვინც დღესაც ხელისუფლებაშია...

»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვანო მერაბიშვილი გამამართლებელ განაჩენს ელოდება



ვანო მერაბიშვილი დარწმუნებულია, რომ 26 მაისის საქმეზე სასამართლოს განაჩენი გამამართლებელი იქნება. როგორც მან აღნიშნა, 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით მაქსიმალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, რაც ყოფილმა ხელისუფლებამ არჩევნებზე იწვნია.

„მე დარწმუნებული ვარ 99%-ით, რომ გამამართლებელი იქნება განაჩენი. თუკი ეს იქნება გამამტყუნებელი, ეს არ იქნება სატირალი, არამედ ეს იქნება სასაცილო“, – განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მისივე თქმით, ციხეში ყოფნის არ ეშინია და მისი მეგობრების – გია ლორთქიფანიძის, შალვა ჯანაშვილის თუ ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას ურჩევნია, თვითონ იჯდეს ციხეში.

„მეამაყება, რომ საქართველოში მე შევქმენი პოლიცია, რომელიც არის არაკორუმპირებული. პოლიციის ისტორიაში შევა ასე – მერაბიშვილამდე და მერაბიშვილის შემდეგ. ვერავინ შეძლებს ისეთი ეფექტის შექმნას, როგორიც შეიქმნა ჩემი მინისტრობის პერიოდში. მე არ მეშინია გამამტყუნებელი განაჩენის“, – განაცხადა მერაბიშვილმა.

მისი თქმით, 26 მაისის მოვლენების შესახებ არც ერთ ქვეყანას არ დაუგმია, ხელისუფლების ქმედებები, იქიდან გამომდინარე, რომ აქციის დაშლა მოხდა ლეგიტიმურად. (ინტერპრესნიუსი)

## ბურჯანაძე ღარიბაშვილის ობამასთან შეხვედრას დადებითად აფასებს



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე საქართველოს პრემიერისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეხვედრას გამოეხმაურა. „მხოლოდ პოზიტიურად შემიძლია შევაფასო ის, რომ აშშ-ის პრეზიდენტთან ძალიან მაღალი რანგის შეხვედრა შედგა, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდებოდა, ასეთი შეხვედრა, რომ არ შემდგარიყო. პროტოკოლური შეხვედრა იყო, ობამა რამდენიმე წუთი შევიდა, რომ საქართველოსადმი თავისი დამოკიდებულება დაეფიქსირებინა და ეს სრულიად ბუნებრივია, იმ მნიშვნელოვანი ურთიერთობებიდან გამომდინარე, რომელიც აშშ-სა და საქართველოს აქვს. თუნდაც იმ რეალობიდან გამომდინარე, რომ ავღანეთში ჩვენი ჯარებია და ეს მიმართულება კიდევ უფრო აქტიურდება. აქედან გამომდინარე, ასე რომ არ ყოფილიყო, გამიკვირდებოდა“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

„იმედი მინდა ვიქონიო, რომ ეს შეხვედრა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება, მათ შორის დემოკრატიული პროცესების თვალსაზრისით და იმ მტკივნეული საკითხების ირგვლივ, რომელიც ყველას გვაწუხებს“, – აღნიშნა ბურჯანაძემ. (ინტერპრესნიუსი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# როგორ მოხვდა წითელი ცირკულარით ძებნილი თემურ ბასილია პრემიერ ღარიბაშვილის შეხვედრაზე

ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ეკონომიკური მრჩეველი თემურ ბასილია, რომელიც ინტერპოლის წითელი ცირკულარით იძებნება, კვლავ გამოჩნდა. ამჯერად მას „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი არ დადევნებია – აქ რას აკეთებთ და რას საქმიანობთო და არც ბასილიას დასჭირვებია პოლიციის გამოძახებით ჟურნალისტების დამუქრება, როგორც ეს სულ რამდენიმე წლის წინათ მოხდა, როცა მის გამოჩენას ვაშინგტონში ჟურნალისტების „თავდასხმა“ მოჰყვა. ბასილია ირაკლი ღარიბაშვილის ერთ-ერთ შეხვედრაზე მივიდა და პრემიერს შეკითხვა დაუსვა:

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, როდესაც თქვენი მთავრობა ხელისუფლებაში მოვიდა, ქართველი ხალხი, განსაკუთრებით ისინი, ვინც წინა ხელისუფლების დროს პოლიტიკურ დევნაში იყვნენ, ოპტიმიზმით აივსნენ, რომ მიიღებდნენ სამართალს. თქვენ ასევე იცით, რომ უამრავმა ადამიანმა, ვინც პოლიტიკურად იდევნებოდა, დატოვა საქართველო და აშშ-ში დაიდო ბინა. საქართველოში ახლა ბევრი პრობლემა არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინა რეჟიმის შეცდომის გამოსწორება და წინა რეჟიმის მსხვერპლთათვის შანსის მიცემაა, თავიდან დაიწყონ ცხოვრება. რა დროში მოხდება ეს და რა მექანიზმები არსებობს იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა დაიბრუნონ სამართლიანობა?“, – მიმართა ბასილიამ ღარიბაშვილს, რაზეც პრემიერმა უპასუხა:

„ჩვენ უკიდურესად შეშფოთებულები ვართ, რამეთუ ვიცით, რომ წინა ხელისუფლების რეჟიმის დროს უამრავმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა, როდესაც მათი დაკავება და დევნა პოლიტიკურად მოტივირებული იყო, სამწუხაროდ. ვფიქრობ, ჩვენ თითოეული საქმე ინდივიდუალურად უნდა შევისწავლოთ. არ შემიძლია, პასუხი ახლავე გაგცეთ, მაგრამ მივხედავთ თქვენს საქმეს და შესაბამის უწყებებს მივცემ ინსტრუქციას. სამართლიანობის აღდგენა იყო და არის ჩემი ადმინისტრაციის დიდი გამოწვევა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ადამიანებს პასუხი გავცეთ და გადავჭრათ მათი პრობლემები, რაც შეიძლება მალე“.

ამის შემდეგ ბასილია აშშ-ში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოსვლას სოციალურ ქსელში აფასებს. „ახლახან მოვედი ატლანტიკის საბჭოდან, სადაც ვესწრებოდი ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლას. ძალიან კარგი გამოსვლა ჰქონდა ირაკლის: კარგად ისაუბრა საქართველოს პრიორიტეტებზე და იმაზე, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია აშშ-ს საქართველოსთვის. ძალიან კარგი იყო, რომ ირაკლი ინგლისურად საუბრობდა. დარბაზი სავსე იყო და ინტერესიც ძალიან დიდი იყო. მეც მქონდა საშუალება, დამესვა მისთვის კითხვა სააკაშვილის რეჟიმის დროს პოლიტიკური მოტივით და უკანონოდ დევნილების შესახებ და მისი პასუხი იმედისმომცემი იყო. ვულოცავ ამ წარმატებას ირაკლი ღარიბაშვილს და საქართველოს მთავრობას!“

მაშ ასე, სააკაშვილის რეჟიმისგან დევნილების თემა საინტერესოა, კიდევ უფრო საინტერესოა, რა პოზიციას დაიკავებს ახალი ხელისუფლება მათ მიმართ სამართლიანობის აღდგენის პროცესში, შეუშინდება თუ არა ახალი მთავრობა „ნაციონალების“ შტურმს შევარდნაძის ჩინოვნიკების დაბრუნების მცდელობის შემთხვევაში? როგორი იქნება იმ ადამიანთა ბედი ვინც სააკაშვილის რეჟიმმა კორუფციული და სხვა ბრალდებებით ძებნილთა საიტზე გამოკიდა? ესენი არიან – ასლან აბაშიძე, ლევან მამალაძე, თემურ ბასილია.

ვინ არის თემურ ბასილია? – ეკონომისტი ბასილია ქართულ პოლიტიკაში „რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის“ რიგებში გამოჩნდა, შემდეგ კი „ტრადიციონალისტთა კავშირის“ წევრი გახდა. სწორედ ამ პარტიის სიით შევიდა ბასილია 1992 წელს პარლამენტში, სადაც ჯერ საბიუჯეტო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე იყო, 1994 წელს კი მთავრობაში ვიცე-პრემიერის თანამდებობა დაიკავა. ერთი წლის შემდეგ, როცა „ტრადიციონალისტები“ პარლამენტში ვეღარ მოხვდნენ, ბასილიამ პარტია დატოვა და სახელმწიფო სამსახურში დარჩა. უკვე 1997 წელს ის პრეზიდენტ შევარდნაძის ეკონომიკურ მრჩევლად დაინიშნა და ამ თანამდებობაზე „ვარდების რევოლუციამდე“ იმუშავა. ბასილია 2004 წელს რამდენჯერმე დაკითხეს ფინანსურ მაქინაციებთან დაკავშირებით, მას პროკურატურა ბრალს სდებდა საბანკო მაქინაციებში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, სამსახურებრივ გულგრილობაში, თაღლითობაში. თუმცა არ დაუკავებიათ და ქვეყნის დატოვების საშუალება მისცეს. მოგვიანებით მასზე ინტერპოლით ძებნა გამოცხადდა. 2008 წელს საქალაქო სასამართლომ დაუსწრებლად, ბასილიას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბალტიმორის საემიგრაციო სასამართლომ განხილა ბასილიას საკითხი და მას ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური თავშესაფარი მიენიჭა. როგორც ბასილია აცხადებს: „ჩემი არგუმენტები ემყარებოდა იმ ფაქტებს, რომ ჩემ მიმართ გრძელდებოდა პოლიტიკური მოტივით დევნა, რომელიც იქნა გაზიარებული ამერიკის საემიგრაციო სასამართლოს მიერ და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღესო“.

თავშესაფრის მიღების შემდეგ სააკაშვილის რეჟიმისგან ძებნილი ბასილია ჩვეულებრივად განაგრძობდა წლების მანძილზე მუშაობას და არც სააკაშვილი იკლავდა თავს მისი ძებნით, მისთვის მთავარი იყო, საქართველოს მიწაზე არ დაედგა ფეხი და ისიც ძალიან კარგად იცოდა, რომ თითსაც ვერ დააკარებდა, რადგან ბასილიას გავლენიანი პატრონები ჰყავდა დასავლეთში. 2004-2005 წლებში ის ტაჯიკეთში, გაერო-ს მილენიუმის პროგრამის ხელმძღვანელი იყო. მოგვიანებით, ისევ გაეროს თანამშრომლის რანგში ყაზახეთში ცხოვრობდა. 2009 წელს ბასილია მოულოდნელად ვაშინგტონში, „პროგრესის ცენტრში“ გამოჩნდა, რასაც თბილისში „ნაცების“ სუნთქვითი ჭინთვები მოჰყვა, სააკაშვილი ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა, როგორ ბედავს ასეთ ადგილებში სიარულსო. 2010 წლის თებერვალში კი საქართველოს პროკურატურამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბასილია ვაშინგტონში საემიგრაციო კანონმდებლობის დარღვევისთვის დააკავეს და თითქოს ამერიკა ბასილიას საქართველოსთვის გადაცემას გეგმავდა. არადა ეს იყო შეგნებული დეზინფორმაცია და რეალურად ის არავის დაუკავებია. ნაცსექტა დუმდა, რადგან ბასილიას შესახებ დასავლეთიდან გაფრთხილება მიიღო, მისამართი გეშლებათ და გირჩევნიათ, სხვა ჯიშის პოლიტიკურ ცხოველზე ინადიროთო. ბასილია ახლაც თავისივე პროფესიით განაგრძობს აშშ-ში მუშაობას.

საინტერესოა, როგორ მოხვდა ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ბასილია შეხვედრაზე, სადაც სტუმრად მყოფი ერთ-ერთი ქვეყნის პირველი პირი იმყოფებოდა და წესით, დაცვა მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო გაძლიერებული?

როგორც გავარკვიეთ ატლანტის საბჭოში მისი მოხვედრა პრობლემას არ წარმოადგენდა, რადგან პოლიტიკური თავშესაფარი აქვს, ის შეავსებდა ანკეტას, გამოთქ-

*გაგრძელება მეექვსე გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელი ქრთამზე დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მომსახურების სააგენტოს მთავარი კონსულტანტი თეიმურაზ შალიკიანი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ შალიკიანმა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას, თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, ქ. ქუთაისში მდებარე, ყოფილი „საგრენაჟო ქარხნის“ ტერიტორიის (6500 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების აუქციონის წესით შეძენაში დახმარების სანაცვლოდ, მოქალაქეს ქრთამის სახით 600 000 აშშ დოლარი მოსთხოვა.

სამართალდამცველებმა მიმდინარე წლის 25 თებერვალს თეიმურაზ შალიკიანი იმ დროს დააკავეს, როდესაც მან წინასწარ აიღო მის მიერ ქრთამის სახით მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 70 000 აშშ დოლარი.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, რაც 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). (ინტერპრესნიუსი)

## მარგველაშვილი 27 თებერვალს სომხეთს ესტუმრება




საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის პირველი ოფიციალური ვიზიტი სომხეთის რესპუბლიკაში 27-28 თებერვალს შედგება. პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ქვეყნის პირველი პირი ერევანში თავის სომეხ კოლეგას სერჟ სარგსიანს შეხვდება.

პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრის ტიგრან საქისიანის სამუშაო სადილი გაიმართება.

საქართველოს პრეზიდენტი სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარეს ოვიკ აბრამიანსაც შეხვდება.

ვიზიტის მეორე დღეს კი, პრეზიდენტი ყოველთა სომეხთა კათოლიკოსს გარეგინ მეორეს ეწვევა. (ინტერპრესნიუსი)

## „აშშ საქართველოს ხელისუფლებას დიდი იმედით უყურებს“



„ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივნის, არმაზ ახვლედიანის განცხადებით, შეერთებული შტატები დიდი იმედით უყურებს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

„შეერთებულ შტატებში გამართული მაღალი დონის შეხვედრები თავისთავად მეტყველებს, რა ხარისხშია აყვანილი საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები დღეს. პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ამერიკის პრეზიდენტთან ადასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს მიიჩნევს თავის სტრატეგიულ პარტნიორად და ის კმაყოფილია საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესებისა და საქართველოს ჩართვით ყველა საერთაშორისო ძალისხმევაში. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არაერთი ვიზიტი განხორციელებულა ამერიკის შეერთებულ შტატებში წინა ხელისუფლებების დროს, მაგრამ არაერთხელ ყოფილა იმედგაცრუებაც. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი, რომ შეერთებული შტატები დღეს დიდი იმედით უყურებს საქართველოს ხელისუფლებას და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. კარგად გვესმის, რომ საქართველო ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი წელს არ გამხდარა, მრავალ წელს ითვლის ორი ქვეყნის პარტნიორობა, მაგრამ ასევე მრავალ წელს ითვლის უიმედობაც. ჩვენი ამოცანაა, რომ უპირველესად საშინაო საქმეები მოვაგვაროთ – ვაშინგტონში ხედავენ საქართველოში დემოკრატიული და პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღების ძალისხმევას. ეს იმედი და ნდობაც სწორედ ამ ფაქტორებს უკავშირდება“, – განაცხადა ახვლედიანმა. (ინტერპრესნიუსი)



მართლის დევნა, მანამდე რომ ჩამოვიდეს, უქმდება მისი თავშესაფარი აშშ-ი და ეგრევე დააპატიმრებენ.

შეიძლება თუ არა რომელიმე ქვეყანაში პრემიერის მორიგი ვიზიტისას წითელი ცირკულარით ძებნილი ორი ექსჩინოვნიკი ასლან აბაშიძე და ლევან მამალაძეც ვიხილოთ?

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ აბაშიძის მიმართ 2005 წლის 6 ივლისს სისხლის სამართლის საქმე აღძრა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და სახელმწიფო სახსრების დატაცების ბრალდებით. ამავე წლის 14 ივლისს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის ... მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელი სახლები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, საბანკო ანგარიშები, ავტომანქანები, ქონება ჩამოართვეს მის შვილებსაც, აბაშიძემ ევროსასამართლოში იჩივლა და ელოდება საბოლოო განაჩენს, ის მზადაა, ქვეყანაში დაბრუნდეს.

საქართველოში დაბრუნებას აპირებს ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძეც, რომელიც ასევე ძებნილია და მას ბრალად ედება ქრთამის აღება და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია. მას სასამართლომ დაუსწრებლად 17-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. მამალაძე აცხადებს: „გამოჩნდა შანსი, რომ სიმართლე პროკურატურას არ გააჩნია. მე ვიდევნებოდი მხოლოდ იმიტომ, რომ ვიყავი მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტი“.

„შევარდნაძის მუმიებს“, „სააკაშვილის მუმიები“



# რისთვის მიუსაჯეს ბასილიას ცხრა წელი?

## • რას აპირებენ ინტერპოლით ძებნილი ასლან აბაშიძე და ლევან მამალაძე?

*მეხუთე გვერდიდან*

ვამდა სურვილს, რომ მას აინტერესებს არჩევნების გზით მოსული ხელისუფლების წარმომადგენლის მოსმენა, პრემიერ-მინისტრის გაცნობა, შეუმოწმებდნენ საბუთებს, გაჩხრეკდნენ და შეუშვებდნენ.

იურისტი კახა კახიშვილი „ალიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ბასილია მუშაობს გავლენიან ამერიკულ საერთაშორისო ორგანიზაციაში, „ატლანტის საბჭოში“ დასასწრები აკრედიტაციაც ამ ორგანიზაციიდან ჰქონდა.

იურისტი ვალერი გელბახიანი „ალიას“ განუმარტავს, რომ ბასილიას აქვს მინიჭებული აშშ-ში პოლიტიკური დევნილის სტატუსი, ის იმყოფება აშშ-ს იურისდიქციაში და შესაბამისად, შეუზღუდავია, მას თავისუფლად შეეძლო დასწრებოდა პრემიერის გამოსვლას და დაესვა კითხვები, მაგრამ, თუკი მას უნდა ჩამოსვლა საქართველოში, საქართველოს სასამართლომ უნდა იმსჯელოს ამ საქმეზე, რათა შეწყდეს სისხლის სამართლის დევნა

რატურის მოთხოვნა და აბაშიძის ოჯახის ქონება დააყადაღა. აბაშიძეს დაუსწრებლად 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და ძებნილად გამოცხადდა. მას ბრალად დაედო ნოდარ იმნაძის განზრახ მკვლელობა, ტერორისტული აქტების ორგანიზება და თენგიზ ასანიძის პატიმრობასთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა. მას ჩამოერთვა 100 მილიონი ლარის ქონება. კერძოდ,

თლე ითქვას და ყველა ადამიანს მიეცეს თავის მართლების, იმ წნეხიდან გამოსვლის საშუალება, რომელიც სააკაშვილის მთავრობამ ჩამოაყალიბა. დადგა დრო, როდესაც სამართალს თავისი შეფასება ეძლევა. ამის საშუალება ადრე არ იყო. სააკაშვილის დავალებით პროკურატურამ აილო ჩემი დეკლარაცია, ჩათვალა, რომ რაც იქ მიწერია, ქრთამია, ანუ მე ვიყავი უქონელი და არაფერი არ უნდა მქონოდა. არც ერთი მტკიცებულება

ანაცვლებენ მეზობელ ჩრდილოეთში, ორი დღის წინ ქვეყნიდან გაიქცა სააკაშვილის საპატრულო სამსახურის უფროსი გეგეჭკორი, მან თავი რუსეთს შეაფარა, დღეს კი რუსეთიდან სააკაშვილის რეჟიმისგან დევნილი ემზარ კვიციანი ჩამოდის, რომელსაც ბრალი ედება ამბოხში. და მაინც, საინტერესოა, იქნება თუ არა „დიდი დაბრუნება“ შეუქცევადი პროცესი და რა იქნება უფრო დიდი კორუმპირებულებისა და „მიშას მუმიების“ პასუხი, შევარდნაძის „მუმიების“ დაბრუნებაზე?!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### სევდია უგრეხელიძე უმრავლესობის გეგმებს „შიფრავს“



თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის, სევდია უგრეხელიძის განცხადებით, თბილისის საკრებულოს სურს, ბიუჯეტის დამტკიცება წლის მეორე ნახევრისთვის შემოინახოს. საკრებულოს არ აინტერესებს რაიმე ცვლილება ბიუჯეტში. „მათ აქვთ კაპრიზი, რომ 2-3 თვით ადრე დაშალონ თბილისის თვითმმართველობა, გააუქმონ ის და მოცარიელებულ ადგილზე შემდეგ არჩევნები ჩაატარონ, სადაც ნებისმიერ შემთხვევაში კუნძის გაყვანაც კი შეიძლება“, – აღნიშნა უგრეხელიძემ.

მისი თქმით, როდესაც არჩევნებში პირს კონკურენტი არ ჰყავს, ასეთ ადგილზე გამარჯვება იოლია.

„თავისი ჭკუით, უკეთ უნდათ დახარჯონ ბიუჯეტის თანხები. სინამდვილეში გარწმუნებთ, დრაკონული კანონების პირობებში, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა დროებითი მოვალეობის შემსრულებელი ხდება არჩევნების გამოცხადების შემდეგ, ამ პირობებში ისინი ბიუჯეტის თანხებს საერთოდ ვერ დახარჯავენ და ქალაქისათვის ვერაფერს გააკეთებენ. ჩვენ მოვუწოდებთ, რომ დაფიქრდნენ აღნიშნულზე“, – აღნიშნა უგრეხელიძემ. (ინტერპრესნიუსი)

### ქუთაისის ვიცე-მერმა თანამდებობა დატოვა



ქუთაისის ვიცე-მერმა ეკონომიკურ საკითხებში გია შარაბიძემ თანამდებობა დატოვა. შარაბიძის განცხადებით, მასზე არავითარი ზეწოლა არ განხორციელებულა და წასვლის შესახებ განცხადება საკუთარი სურვილის საფუძველზე მიიღო.

„ჩემზე ზეწოლა არ ყოფილა, უბრალოდ, ეს საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე მივიღე. ჯერ არ ვიცი, სად გავაგრძელებ მუშაობას, თუმცა უსაქმოდ ყოფნასაც არ ვაპირებ“, – განაცხადა ყოფილმა ვიცე-მერმა გია შარაბიძემ. (ინტერპრესნიუსი)

### ღარიბაშვილი რუსეთის დარწმუნებას აპირებს



„როიტერტან“ ინტერვიუში ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა:

„ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა. ამავდროულად, ჩვენ ვცდილობთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას და მათთან კონსტრუქციული პოლიტიკის დამყარებას. ამიტომ ჩვენ გვჭირდება ბალანსის პოვნა ამის დასაბალანსებლად. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ რუსეთის ხელისუფლება, რომ საქართველოს ევროპული ინტეგრაცია არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. ეს არის ჩვენი მისია“, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. (ინტერპრესნიუსი)

### წულუკიანი ბრიტანელ მოსამართლეებს შეხვდა



საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ბრიტანელ მოსამართლეთა დელეგაცია მიიღო. წულუკიანის განმარტებით, იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით 28 თებერვლიდან 1-ელ მარტამდე ეწყობა საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მთავარი თემა იქნება მოსამართლეთა შეფასების სისტემის დანერგვა საქართველოში.

„ახალი კონსტიტუციის თანახმად, 3 წელი ახლად დანიშნულ მოსამართლეებს აქვთ გამოსაცდელი პერიოდი. ეს ნიშნავს შეფასების სისტემის არსებობას, რაც ახლა უნდა დაინერგოს. ჩვენ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოვიწვიეთ არა მხოლოდ ბრიტანელი მოსამართლეები, არამედ პოლონელი, ავსტრიელი, გერმანელი, ამერიკელი მოსამართლეები. ისინი შეხვდებიან ქართველ კოლეგებს, პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა ერთად გადავწყვიტოთ ის მარტივი საკითხი, რაც ეხება მოსამართლის მიერ მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვეტილებების გამოტანის აუცილებლობას. ამის გარეშე არ არსებობს სასამართლო სისტემა, რომელსაც ენდობა ხალხი“, – განაცხადა წულუკიანმა.

თეა წულუკიანმა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის მექანიზმზეც ისაუბრა, რომელიც სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემდეგ მოსამართლის თანამდებობაზე ღირსეულ კანდიდატთა უვადოდ დანიშვნას ითვალისწინებს. საქართველოსა და ბრიტანეთის იუსტიციის მინისტრები შეთანხმდნენ, რომ ბრიტანელი მოსამართლეები მონაწილეობას მიიღებდნენ გამოსაცდელი ვადის შემდგომ ქართველ მოსამართლეთა შეფასებისა და შერჩევის კრიტერიუმების დადგენაში.

როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა საბოლოოდ გაათავისუფლებს მოსამართლეებს ყოველგვარი ზეწოლისგან, მათგან ყველაზე ღირსეულ და პროფესიონალ კადრებს კი მოსამართლის თანამდებობის უვადოდ დაკავების შესაძლებლობას მისცემს, რაც, თავის მხრივ, სამართლიანი და თავისუფალი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. (ინტერპრესნიუსი)



# სევდია უგრეხელიძის მერიას ახალ კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებენ

26 თებერვალს „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძემ თბილისის ბაგა-ბაღებში არსებულ კორუფციულ სქემაზე განცხადება გააკეთა და სქემის შემუშავებაში კომპანია „დაო პლუსსა“ და მერიას ადანაშაულებს. მისი თქმით, მერია ბაგა-ბაღებს ბუღალტრულ მომსახურებას კომპანია „დაო პლუსის“ მეშვეობით სთავაზობს, მიუხედავად იმისა, რომ ბაღებში აუდიტორულ მომსახურებას სახელმწიფო აფინანსებს.

„2012 წლიდან (გიგი უგულავას მერობისას. – თ.ო.) კომპანიის ხელმძღვანელი გახდა დავით ხოსრუაშვილი. ის 2012-დან 2014 წლამდე აფორმებს ბაგა-ბაღებთან ხელშეკრულებას, რომლებთანაც გადასახდელი თანხა 245 ლარია, სადაც შედიოდა დამატებით იურიდული მომსახურების მცირე პაკეტი. ხოსრუაშვილი ამ პაკეტით სარგებლობდა 2013 წლამდე. დაახლოებით ერთი თვის წინ (უკვე სევდია უგრეხელიძის პერიოდში. – თ.ო) სააგენტოს თანამშრომლები დაუკავშირდნენ ბაგა-ბაღის დირექტორებს და უთხრეს, რომ აღნიშნული პაკეტი გაძვირდება 400 ლარამდე. ეს იქიდან არის განპირობებული, რომ დაემატა იურიდიული 150-ლარიანი, რომელიც ჯამურად შეადგენდა 400 ლარს“, – განაცხადა ბურჯანაძემ.

**დეტალების დასაკონკრეტებლად „ალია“ გიორგი ბურჯანაძეს დაუკავშირდა:**

– სანამ კითხვას დამისვამთ, სხვა მაგალითებიც გვაქვს მერიაში და თქვენთვის კიდევ ერთ ფაქტსაც ვასაჯაროებ, რომელიც განცხადებაში არ გვაქვს მითითებული: არსებობს ასეთი ფირმა „ფუდ სერვისი“, რომელიც ერთადერთია ამ ბაზარზე, რომელიც ისე იყო შემოყვანილი მერიის მიერ, ვითომცდა მან ტენდერში გაიმარჯვა. ამ დროს არავითარ ტენდერში არ გაუმარჯვია, მას პირდაპირ ჩააბარეს ბაგა-ბაღების მომარაგება სურსათით. ამ ფირმას დღემდე შეჰქონდა აქ პროდუქტი 20-30%-იანი ნამატით და, როცა ხორცი ყველაზე ძვირადღირებულ ბაზარში ღირს 12 ლარი, მათ შეჰქონდათ 15 ლარად და ასე იყო გაძვირებული სხვა პროდუქტებიც. მათ რჩებოდათ საკმაო თანხა ამ მომსახურებიდან. ჩვენ გავაკეთეთ ასე, რომ ის სამეურნეო კალათა თავად ბაგა-ბაღის გამგის განკარგულებაში იყოს, შესაბამისად, რეგულირებადი და ეს ყველაფერი გაცილებით იაფი დაუჯდებათ, ვიდრე „ფუდ სერვისის“ მიტანილი. მილიონები აქვს ამ „ფუდ სერვისს“ დახარჯული, რომ ეს სფერო ხელში ჩაეგდო და ჩვენ ნელ-ნელა ვაცლით ამას ხელიდან.

**— რა მნიშვნელობა აქვს, ამ ფირმის ნაცვლად მერია ახალ ფირმას შემოიყვანს...**

– არა, არაა... ჩვენ ვეცადეთ, ერთი მონოპოლისტი იყო ბაზარზე და ის მოვაშორეთ. ეს გამგეები სხვა პატარა ინდმეწარმეებსა და „შეპესეებს“ დაუკავშირდებიან და, თუ არ მოეწონებათ მომსახურება, შეცვლიან მათ. მერია ხმას ვერ იღებს, რადგანაც ეს ხდება სამართლებრივი საფუძვლებით და არა ვილაცის ინტერესებიდან გამომდინარე.

**— რაც შეეხება „დაო პლუსს“?**

– 2008 წლიდან 2012 წლის აპრილამდე ბაღებში ბუღალტრული მომსახურების თანხა იყო 245 ლარი, ეს პაკეტი ჩამოაყალიბა მერიის ფინანსური სამსახურის უფროსმა დავით ხოსრუაშვილმა, რომელმაც დაავალდებულა ბაგა-ბაღების გამგეები, რომ დამატებით გაუწევდა საბუღალტრო მომსახურებას ეს ფირმა და ყველა დამორჩილდა. სხვა გზა არ გვქონდაო, გამგეები ამბობენ.

**— და რატომ დაემორჩილდითო, ბაღებში ხომ ჰყავდათ ბუღალტერი?**

– როცა უნდოდა, მაშინ გაგვაფუჭებდა პასტითა და ფურცლითო. ახლა რა ხდება: ორი კვირის წინ დაუკავშირდნენ გამგეებს და უთხრეს, რომ ამ მომსახურებას, რასაც აქამდე გიწევდით, დავამატეთ კიდევ იურიდიული მომსახურება და პაკეტი მოიცავს 400-ლარიან მოსაკრებელს, რომელიც უნდა გადაიხადოთო. ყველაზე მამაძაღლური რა იყო, იცით? სააგენტომ დაიბარა ბაღების გამგეები. იმათ რომ თქვეს, ჯერ 245 ლარი რა ამბავი იყო და 400 ლარი საიდან მოვიტანოთო, ამაზე სააგენტომ უპასუხა: პრობლემა არ გაქვთ, ჩვენ გადმოგირიცხავთ ამ თანხებს და თქვენ შემდეგ გადარიცხეთ ამ „შეპესეშიო“, გესმით?

**— ვიმეორებ, თუკი ბუღალტრულ მომსახურებას შიგნით ბაღში აკეთებს ბაღის ბუღალტერი, რომელსაც, თუ არ ვცდები, ჰქვია საქმის მწარმოებელი, რაღა საჭიროა ეს 400-ლარიანი გადასახადი იგივე მომსახურებაში?**

– მერია დიდ ხეირს პოულობს, ხომ გესმით? აქ ხდება „პერეკაჩკა“ ფულის. მიდის თანხების გადამისამართება ბიუჯეტიდან და ეს ფული ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში გადადის. ეს მექანიზმებია ჩადებული ამ საქმეში, საიდანაც ეს კორუფციული სქემა ჩამოყალიბდა.

**— მერიას ხომ არ დაუსვით კითხვა, რატომ არ აცხადებ ახალ ტენდერს, 245-ლარიანზე იქნებ სხვა შპს თანხმდება და ზედმეტ ფულს რატომ იხდიო?**

– არავითარ ტენდერს არ გამოაცხადებს, იმხელა ინტერესი დევს ამაში, რადგანაც ამით თავს მშვენივრად ირჩენენ. გარდა ამისა, ჩემი აზრით, ამ დამატებითი თანხით თავიანთი აქტივისტები ამ მხრივ უნდა შეინარჩუნონ. რაზეც ადრე ჰქონდათ ანთებული „მწვანე“, დღესაც იგივე ხდება. ფინანსური რომ დასდევს „მაზავშიკებს“ და „ჩეკების“ ამორტყმას, ეს მასალები იდო ფინანსურში და არავინ ყურადღებას არ აქცევდა.

**— რამდენი ბაღია საერთოდ თბილისში და რა თანხაზეა ლაპარაკი?**

– 158 და დაახლოებით 63 000 ლარი უნდა გადაირიცხოს ამ ფირმის ანგარიშზე თვეში, ცუდია? ფინანსთა სამინისტროში და პროკურატურაში შევიტანეთ საქმე და დარწმუნებული ვარ, ეს მერიის მალალჩინოსნები დაჰკრავენ ფეხს და გაიქცევიან, რახან მათი მხილება მოხდება.

**კომენტარისთვის ვუკავშირდებით საკრებულოს წარმომადგენელს გულიკო ზუმბაძეს:**

– ჩვენთვის არ იყო ცნობილი, როგორ აგვარებდნენ გამგეები აქამდე ამ საქმეს, რადგანაც ამაზე გარკვეული საჩივარი არ შემოსულა. გამგეები არ არიან ვალდებულები, სააგენტოს შეთავაზებული კომპანიით აწარმოონ ესა თუ ის საქმიანობა და მათ აქვთ თავისუფალი არჩევანის უფლება. იქ გააფორმონ ხელშეკრულება, სადაც იაფი იქნება მომსახურება. თუ აქ არის ლობირება, ეს კორუფციის ნიშნებს შეიცავს და ამით დავინტერესდებით.

**— და აქამდე რატომ არ დაინტერესდით? საკრებულო ხომ მაკონტროლებლები ხართ?**

– რა თქმა უნდა, გეთანხმებით, საბავშვო ბაღებზე მეტი კონტროლია საჭირო.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ციხეში პატიმრების უფლების დარღვევის ფაქტები გამოვლინდა



სახალხო დამცველი, უჩა ნანუაშვილი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ, სოზარ სუბარს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების უფლებების რეალიზების რეკომენდაციით მიმართავს.

სახალხო დამცველის აპარატის ინფორმაციით, №7 დაწესებულებაში მონიტორინგის შედეგად დაწესებულებაში მყოფი პატიმრების უფლების დარღვევის ფაქტები გამოვლინდა და გამოიკვეთა ის პრობლემები, რაც შესაბამისი ორგანოების მიერ შესწავლას საჭიროებს, კერძოდ: დაწესებულებაში მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია; რამდენიმე ფენა გისოსით დაფარული მცირე ზომის ფანჯრები ბუნებრივ განათებასა და ვენტილაციას ვერ უზრუნველყოფს, ხოლო დაწესებულებაში დამონტაჟებული სავენტილაციო სისტემა – სუფთა ჰაერის საკმარის მოძრაობას; პირველ სართულზე განლაგებული საკნები ნესტიანია და იმ პატიმრებს, რომლებსაც ფილტვების ტუბერკულოზი აქვთ გადატანილი, განმეორებით დაავადების საფრთხე ემუქრებათ; ცალკეული პატიმრების საცხოვრებელი საკნის ფართობი ეროვნული კანონმდებლობითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს; პატიმრების სასეირნოდ გამოყოფილი ფართი მცირე ზომისაა; საკნებში არ არის საკმარისი ავეჯი, რის გამოც პატიმრებს პირადი ნივთები და საკვები იატაკსა და საწოლზე უწყვიათ; დაწესებულებაში არ არის სამრეცხაო, რის გამოც, პატიმრები ტანსაცმელსა და თეთრეულს რეცხავენ საკნებში და იქვე აშრობენ. პატიმრების განმარტებით, მათ ასევე არ აქვთ საკმარისი თბილი ტანსაცმელი; პატიმრებს არ ეძლევათ უფლება, საკანში იქონიონ საპარსი და ფრჩხილების საჭრელი საშუალებები; ერთ საკანში მყოფი პატიმრების ყველა საპარსი და ფრჩხილის საჭრელი ინახება ერთ კოლოფში, ოფიცერთა სამორიგეო ოთახში მდგარ სეიფში, სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების ნივთებთან ერთად. აღნიშნულით ირღვევა ჰიგიენური ნორმები და იქმნება გადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხე; №7 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. შეხვედრების ოთახების სიმცირის გამო პატიმრები ადვოკატთან დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად შეხვედრას ვერ ახერხებენ. პატიმრების გადმოცემით, მათ არ აძლევენ უფლებას, საკანში შეინახონ პირადი კორესპონდენცია“. – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

## ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოები შეიქმნა



განათლების სამინისტროს ინფორმაციით, პირველად საქართველოში, ყრუ და სმენადაქვეითებული მოსწავლეებისთვის ჟესტური ენის, ქართული ენისა და მათემატიკის სახელმძღვანელოები შეიქმნა, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებთ მათ დაწყებით საფეხურზე ჟესტური ენის ათვისებას, ქართულისა და მათემატიკის პროგრამის დაძლევას, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც საქართველოში ყრუ და სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლების სპეციალური პროგრამა არ არსებობს. მათთან ურთიერთობა ჟესტური ენის არცოდნის გამო გართულებულია, შეფერხებულია ინფორმაციის მიწოდება, სიტყვის მნიშვნელობის გაგება. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## სასამართლო ონიანისთვის გირაოს შეფარდების მოტივაციას განმარტავს



თბილისის საქალაქო სასამართლო გოგა ონიანის აღმკვეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით, განცხადებას ავრცელებს და ონიანისთვის გირაოს შეფარდების მოტივაციას განმარტავს.

„თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი ონიანის მიმართ პატიმრობის შეფარდების თაობაზე და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო – 20 ათასი ლარის ოდენობით, საპატიმრო უზრუნველყოფით. ონიანს ბრალად ედება განზრახ უკანონო დაკავების ორგანიზება, ასევე მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლებისა და სახელმწიფო ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. მასვე, ბრალად ედება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების ერთ-ერთ არგუმენტად ბრალდების მხარემ დაასახელა გ. ონიანის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე; წარმოდგენილი მასალებით დგინდება, რომ გ. ონიანისთვის ბრალდებულის სტატუსის განსაზღვრამდე, მასა და მოწმეებს შორის, რომლებიც გ. ონიანის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში იმყოფებოდნენ მის უშუალო დაქვემდებარებაში, შედგა გარკვეული სახის კომუნიკაცია, თუმცა ეს გარემოება სასამართლოს აზრით არ წარმოადგენს ბრალდებულის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის გამოყენების საკმარის საფუძველს. ასევე, აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებები, რომ: ბრალდებულს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს ოჯახი, ამასთანავე გამოძიების პროცესში მას თავი არ აურიდებია სამართალდამცავ ორგანოში და სასამართლოში გამოცხადებისთვის“. – (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YELLOW BLACK





# რა მეთოდით ცდილობენ ადვოკატები მერაბიშვილის გადარჩენას?

**26 მაისის პროცესზე ვანო მერაბიშვილის ადვოკატმა ოთარ კახიძემ განაცხადა, რომ ვანო მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის საქმეს სტრასბურგის სასამართლომ პრიორიტეტი მიანიჭა. არსებობს თუ არა პრაქტიკაში, რომ ჯერ კიდევ დაუსრულებელ საქმეს რამე სტატუსი მიანიჭოს? რისთვის დასჭირდათ ადვოკატებს ამის თქმა?**

**„ალიას“ ესაუბრება ადვოკატი მამუკა ნოზაძე:**

– როგორც ჩანს, ვანო მერაბიშვილის ადვოკატებს არ აქვთ გამოცდილება ევროპის სასამართლოში საქმის წარმოებისა, რადგან, როდესაც ევროპის სასამართლოდან მოდის წერილი, მას აწერია „პრიორიტარე“, რაც ნიშნავს, რომ წერილი წამოვიდა დაჩქარებული წესით და არაფრის დიდებით არ გულისხმობს იმას, რომ საქმეს მიენიჭა პრიორიტეტი. ასეთ დროს, ევროპულმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს და დაადგინოს, რომ ევროპის სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლის თანახმად, მიენიჭა პრიორიტეტი ამა თუ იმ საქმეს. ევროპული სასამართლო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ანიჭებს საქმეს პრიორიტეტს, ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, მძიმე ავადმყოფობა და ის სათანადო მტკიცებულებებით უნდა იყოს წარდგენილი. ასეთ დროს ანიჭებს საქმეს პრიორიტეტს ევროპული სასამართლო და იხილავს დაჩქარებული წესით, მაგრამ ეს დაჩქარებული წესით განხილვა არის დაახლოებით 5-6 წელი. როდესაც ევროპის სასამართლო საქმეს ანიჭებს პრიორიტეტს, ხდება დაჩქარებული წესით კომუნიკაცია, სახელმწიფოსადმი კითხვების დასმა, სახელმწიფოს ამ კითხვებზე საპასუხოდ აძლევენ 3-თვიან ვადას, შემდგომ მთავრობის მოსაზრებებს უგზავნიან ადვოკატებს. დაუსვა ევროპის სასამართლომ სახელმწიფოს კითხვები და ამ კითხვებზე პასუხი მიიღეს ადვოკატებმა? თუ ასეა, რატომ არ ასაჯაროებენ? იმიტომ, რომ ასე არ ყოფილა. ძალიან ბევრი საქმეა ისეთი, რომელსაც 2008-2009 წლებში პრიორიტეტი მიენიჭა, მაგრამ დღემდე გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

**— გამოდის, მერაბიშვილის ადვოკატები იტყუებიან. მიზანი რა არის?**

– ან იტყუებიან, ან ძალიან არაკვალიფიციურები არიან და მოუვიდათ შეცდომა. კონვერტზე წაწერილი „პრიორიტარე“, რომელიც დაჩქარებულ კომუნიკაციას გულისხმობს, ჩათვალეს, რომ არის საქმისთვის პრიორიტეტის მინიჭება. როდესაც საქმეს პრიორიტეტი ენიჭება, მოსულ წერილში წერია, რომ პალატის თავმჯდომარემ ამა და ამ მუხლის შესაბამისად, წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, დაჩქარებული წესით განიხილოს საქმე და პარალელურად კითხვებსაც უსვამს სახელმწიფოს. რატომ არ არის ეს შეკითხვები გასაჯაროებული?

**— მაშინ რა მიზნით გავრცელდა ეს ინფორმაცია?**

– ეს არის მოსამართლეებზე ზეწოლის მიზნით გაჟღერებული დეზინფორმაცია. ბუნებრივია, ეს ერთ-ერთი ხერხია იმისთვის, რომ ვთქვათ, თუ რაიმე კითხვები და საჭოჭმანოა საქმეში, მოსამართლემ გადაწყვიტოს ვანო მერაბიშვილის სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მოსამართლეებზე არ მოქმედებს არანაირად ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, ბუნებრივია, მათი პოზიცია მაინც მნიშვნელოვანია, რათა მომავალში ქართველი მოსამართლეები არ გახდნენ ევროპული სასამართლოს მხრიდან კრიტიკის მიზეზი.

მერაბიშვილის ადვოკატების მიზანია საზოგადოების შეცდომაში შეყვანა, ასევე, პიარისთვის და სასამართლოზე ზეწოლისთვის გამოიყენონ ეს დეზინფორმაცია. ევროპული სასამართლო ყოველთვის აპელირებს შემდეგით: რეგლამენტის მეხუთე მუხლის მესამე ნაწილში არის, რომ არ შეიძლება ადამიანს ყოველთვის შეუფარდო წინასწარი პატიმრობა და რომ სასამართლო ყოველთვის უნდა ეცადოს, ადამიანს აღმკვეთი ღონისძიების სახით შეუფარდოს გირაო, ან თავდებით გაათავისუფლოს, მაგრამ ვანო მერაბიშვილის საქმეში დევს ფაქტი, რომ ის ცდილობდა სხვისი პასპორტით საქართველოს ტერიტორიის დატოვებას. ეს იყო საკმარისი იმისთვის, რომ ქართულ სასამართლოს გამოეჩინა წინდახედულება და დასაბუთებულად და მოტივირებულად დაეკმაყოფილებინა პროკურატურის შუამდგომლობა აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებაზე.

**— ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბრალმდებელი (პროკურორი) არის ჯარჯი წიკლაური, რომელიც იყო ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის დავალებების შემსრულებელი, ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვისას იქონიებს რაიმე გავლენას?**

– სხვათა შორის, ევროპულ სასამართლოში შესაძლებელია, რომ ეს ერთ-ერთ ფაქტორად იქნეს გამოყენებული სანდოობასთან დაკავშირებით. გახსოვთ, ალბათ, სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებითაც ევროსასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ არ შეიძლებოდა, გამოძიება ჩაეტარებინა იმ ორგანოს, რომლის წარმომადგენლებიც მხილებული იქნენ დანაშაულში. ახლაც შესაძლოა, მათ გადაწყვეტილებაში ჩაიწეროს, რომ ის პროკურორი, რომელიც მანამდე ასრულებდა ვანო მერაბიშვილის პირად დავალებებს და არაერთ უკანონობას სჩადიოდა და ამის არაერთი მოწმე არსებობს, ჩამოშორებულ იქნას საქმეს. ევროპულმა სასამართლომ შესაძლოა, ეს ფაქტი შემაშფოთებელ ფაქტად მიიჩნიოს. ევროსასამართლო მოთხოვნით ან რეკომენდაციით არ მიმართავს მთავარ პროკურორს, ის მხოლოდ გადაწყვეტილებაში ჩაწერს ამ ფაქტს. თუკი ასე მოხდება, ეს შეიძლება იყოს პრეცედენტული და სამომავლოდ უკვე ქართულმა მხარემ გაითვალისწინოს, რომ უკანონობასა და წინა ხელისუფლების ხელმძღვანელ პირთა დავალებების შესრულებაში მხილებული პროკურორები ასეთ ჩამოაშორონ საქმეებს.

**თუკი ევროპული სასამართლო ვანო მერაბიშვილის საქმეს პრიორიტეტს მიანიჭებდა, ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტროს უნდა მოსვლოდა ევროსასამართლოდან შეკითხვები საქმეზე. როგორც „ალიას“ იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა მარიამ სხილაძემ განუცხადა: „ახალი პროცედურებით სტრასბურგის სასამართლოში რამდენიმე წელია, პრიორიტეტის მინიჭების კლასიკური პროცედურა აღარ არსებობს. ერთადერთი, ვინაიდან საქმე ქვეყნის ყოფილ პრემიერს ეხება, შესაძლოა, დაჩქარებული წესით განიხილონ. თუ სასამართლო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, მთავრობას, როგორც მხარეს, ამის შესახებ ეცნობება ადვოკატებისთვის მიწოდებული ინფორმაციის პარალელურად, რაც არ მომხდარა“.**

შორენა გოგოლაძე
599 22 75 27

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მერაბიშვილმა „უტიფარი ტყუილი“ თქვაო



„დემოკრატიული მოძრაობა“ 2011 წლის 26 მაისის აქციასთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილისა და მისი ადვოკატის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება და მათ „უტიფარ ტყუილში“ ადანაშაულებს.

როგორც ნინო ბურჯანაძის განცხადებაშია ნათქვამი, რუსეთის ფედერაციას აღნიშნულ აქციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია. „ვანო მერაბიშვილმა და მისმა ადვოკატმა დღეს კიდევ ერთხელ უტიფრად მოატყუეს საზოგადოება, რომ არც ერთ ქვეყანას არ უსაუბრია და არ დაუგმია 2011 წლის 26 მაისის ის სისასტიკე, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინა საკუთარი მოსახლეობის, მშვიდობიანი აქციის მონაწილეების მიმართ. მისი თქმით, ყველა ქვეყანამ, ერთის გარდა, ერთმნიშვნელოვნად მწვავე შეფასება მისცა სადამსჯელო სპეცოპერაციას და პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებას“, – აღნიშნულია განცხადებაში.

„მან განაცხადა, რომ იმ პერიოდში საქართველო იყო კრიტიკულ ზღვარზე და მოითხოვა 26 მაისის ხელახალი და დამოუკიდებელი გამოძიება. ასევე გაეროს დასკვნაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ 26 მაისის აქციის მონაწილეებზე მთავრობის რეაქცია არაპროპორციული იყო და „ყოველივე ეს ბადებს ეჭვს, რომ მიზანი იყო არა საპროტესტო აქციის მონაწილეების დაშლა, არამედ მათი დასჯა და საზოგადოებაში შიშის დანერგვა“. მერაბიშვილის თქმით, 26 მაისის დარბევა, სამწუხაროდ, 1989 წლის 9 აპრილის პრიზმაში განიხილება. რა თქმა უნდა, ასე განიხილება და ეს ბუნებრივია. იმიტომ, რომ ისეთი სისასტიკე, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინა მშვიდობიანი მომიტინგეების მიმართ, როდესაც არ დაუტოვა არც ერთი გასასვლელი და ყველა მხრიდან ალყაში მოაქცია აქციის მონაწილეები, არ ჩაუდენია როდიონოვის საბჭოთა სპეცრაზმს. 9 აპრილს სპეცრაზმი მხოლოდ ერთი მხრიდან შემოვიდა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, დანარჩენი ყველა გასასვლელი თავისუფალი იყო“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ნინო ბურჯანაძის პარტიის მტკიცებით, ვანო მერაბიშვილი იყო ის ადამიანი, რომელმაც მიხეილ სააკაშვილთან და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად ქვეყანაში ჩამოაყალიბა პოლიცია, რომელიც მათ პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა და აქციების დარბევის დროს „მიშა, მიშას“ სკანდირებდა, ატერორებდა და აწამებდა საქართველოს მოსახლეობას“. (ინტერპრესნიუსი)

## ღარიბაშვილი „მსოფლიო ბანკის“ პრეზიდენტს ეკონომიკურ პერსპექტივებზე ესაუბრა



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა „მსოფლიო ბანკის“ პრეზიდენტ ჯიმ იონგ კიმთან შეხვედრაზე საქართველოს ეკონომიკური პერსპექტივებსა და გასული წლის ეკონომიკურ მაჩვენებლებზე ისაუბრა. „მსოფლიო ბანკის“ პროგნოზით, 2014 წელს საქართველო 5-6%-იან ეკონომიკურ ზრდას ელოდება. პრემიერის შეფასებით, მომდევნო წლების ეკონომიკური პროგნოზებიც განსაკუთრებით ოპტიმისტურია.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა 2014 წელს საქართველოსთვის გადამწყვეტი უწოდა, ვინაიდან აგვისტოში ხელისუფლება ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერას ელოდება.

პრემიერის განმარტებით, ეს გააძლიერებს საქართველოს ურთიერთობას ევროკავშირთან არა მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ უსაფრთხოების სფეროშიც. (ინტერპრესნიუსი)

## მერიასთან მძღოლების საპროტესტო აქცია გაიმართა

რუსთავის მერიის წინ მოედანზე თბილისი-რუსთავის სამარშრუტო ხაზზე მომუშავე მძღოლებისა და ე.წ. ხაზების მეპატრონეების საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები აღნიშნულ ხაზზე გამოცხადებული კონკურსის მინიმუმ სამი წლით გადადებას მოითხოვენ. აღნიშნული მოთხოვნით მერიასთან ცხრა ადამიანი შიმშილობს.

„კონკურსზე ჯერ ოფიციალურად არც ერთი განაცხადი არ არის შემოსული. რუსთავი-თბილისის ხაზზე 700 მძღოლი არ მუშაობს, სულ 380 მანქანა და მძღოლია, აქედან 280-მა უკვე გაიარა რეგისტრაცია და თითოეული მათგანი დაუსაქმებელი არ რჩება, საკონკურსო პირობებში ნათლადაა აღნიშნული, რომ მნიშვნელობა არა აქვს, რომელი კომპანია გაიმარჯვებს, იქნება ეს ადგილობრივი თუ სხვა, მოხდება ადგილობრივი მძღოლების დასაქმება“, – განაცხადა რუსთავის მერმა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK





# რა კავშირი აქვთ ხუდონჰესთან „ახალ მემარჯვენეებს“?

26 თებერვალს „ხუდონჰესის“ აშენების მომხრეები და მოწინააღმდეგეები შეიკრიბნენ იმაზე სასაუბროდ, საჭიროა თუ არა ელექტროსადგურის აშენება. განხილვა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, თუმცა „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენლის, ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებას მცირე ინციდენტი მოჰყვა. მაჭარაშვილმა ხუდონის აშენების მომხრე ექსპერტ ლევან კალანდაძეს მიმართა, რა, არ იცით, რომ თქვენი პარტიული და პირადი მეგობარი, ირაკლი იაშვილი არის შპს „ტრანს ელექტრიკა ტრეიდინგის“ 50%-ის მფლობელი, რომელსაც ინტერესები აქვს ხუდონის მშენებლობაშიო? რაც კალანდაძემ კატეგორიულად უარყო.

**იმის დასაკონკრეტებლად, რა კავშირს ხედავს „ახალი მემარჯვენეების“ ყოფილ დეპუტატ ირაკლი იაშვილსა და ჰუდონის მშენებლობას შორის, „ალია“ ირაკლი მაჭარაშვილს დაუკავშირდა:**

**— ოფიციალურად განაცხადა ხელისუფლებამ, რომ ხუდონი ინდურმა კომპანიამ უნდა ააშენოს, რა შუაშია ირაკლი იაშვილი?**

– „ტრანს ელექტრიკა ტრეიდინგი“ დარეგისტრირებულია 2010 წლის 25 იანვარს ვირჯინის კუნძულებზე და წარმოადგენს 2008 წლის 2 მაისს დაფუძნებული „კონტინენტალ ენერჯი ლიმიტედის“ უფლებამონაცვლეს. 2011 წლის 4 ნოემბრამდე ცნობილი იყო, რომ კომპანიის ყველა აქცია „ტრანს ელექტრიკა ლიმიტედს“ ეკუთვნოდა. 4 ნოემბერს ხაიშში გამართული საკონსულტაციო შეხვედრის დროს კი, ინვესტორთა მხრიდან გაჟღერდა, რომ ამ კომპანიის აქციები ეკუთვნოდათ ჰიდროენერგეტიკულ პროექტებში გამოცდილ და კომპეტენტურ კომპანიებს, რომელთა დასახელებისგან კომპანიის ქართველმა დირექტორმა პაატა წერეთელმა თავი შეიკავა, მათი დასახელების უფლებამოსილების არქონის გამო. მოკლედ რომ გითხრათ, 2013 წლის 18 მარტს დარეგისტრირდა შპს „ტრანს ელექტრიკა ტრეიდინგ“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №401981405), რომლის პარტნიორები არიან ირაკლი იაშვილი – 50% და შპს „ტრანს ელექტრიკა ლიმითედი“ – ვირჯინიის კუნძულები – 50%. წესდების თანახმად, შპს ახორციელებს საქმიანობას ენერგეტიკის სფეროში.

**— ბიზნესმენს თუ ბიზნეს-ინტერესები აქვს რამე პროექტში, ამაში ცუდს რას ხედავთ?**

– უბრალოდ, უცნაურია, რომ ამის შესახებ მისი მეგობარი და პოლიტიკური პარტნიორი ლევან კალანდაძე ინფორმაციას მალავს, საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც „დამოუკიდებელ ექსპერტს“ და არა დაინტერესებულ პირს.

**„ალია“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, ლევან კალანდაძესაც დაუკავშირდა:**

– ეს არის მარტივი გაუგებრობა, დიპლომატიურად რომ ვთქვათ. ამ კომპანიას არანაირი კავშირი ხუდონჰესის მშენებლობასთან და საერთოდ ამ პროექტთან არ აქვს. კომპანია, რომელსაც სურს ხუდონჰესის აშენება, არის ინდური კომპანია, იაშვილს არანაირი კავშირი არ აქვს, არც მის მართვასთან და არც მის ექსპლუატაციასთან. მაჭარაშვილის პრეტენზიების შემდეგ ამ საკითხზე ვესაუბრე ირაკლი იაშვილს და თქვა, ნეტავ, მართლა ვაშენებდე ხუდონსო. რაც შეეხება ჩემს ხსენებას, ის ჩემი მეგობარია და სიამოვნებით გავუწევ ლობირებას. ირაკლის კი არა, ნეტავ მე მქონდეს ბიზნესწილი ხუდონთან დაკავშირებით და სულაც არ დავმალავდი.

**ჟანა ასანიძე**

**558 00 16 16**

## ქართველი ქირურგები კიევში პაციენტებს დაეხმარნენ



დამწვრობის ცენტრის ქართველმა ქირურგებმა, ოთხი დღის განმავლობაში, კიევში პაციენტებს დახმარება გაუწიეს. რეფერალური ჰოსპიტალის დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელის, გუგა ქაშიბაძის განცხადებით, პირადი გადაწყვეტილებით, დამწვრობის ცენტრის სამი ქირურგი კიევში პაციენტების დასახმარებლად 23 თებერვალს ჩავიდა.

ქაშიბაძის განცხადებით, ბოლო დღეების მოვლენების შედეგად დამწვრობების შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, რადგან ასეთი პაციენტები სამართალდამცველების მხრიდან დევნას განიცდიდნენ და მათ საავადმყოფოებში აპატიმრებდნენ.

„მათ ახლაც კი შიში აქვთ და 7-10 დღის წინ მიღებული დამწვრობებით პაციენტები საავადმყოფოებს ახლაც აკითხავენ. ისინი სხვა სახელითა და გვარით რეგისტრირდებიან“, – დასძინა გუგა ქაშიბაძემ.

(ინტერპრესნიუსი)

ალდაგი

**სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ აცხადებს ვაკანსიას სადაზღვევო აგენტის თანამდებობაზე (გარე გაყიდვების მიმართულებით) ქალაქ თბილისში.**

თქვენ გეძლევათ შესაძლებლობა – გაიაროთ სადაზღვევო საქმიანობის შემსწავლელი კურსი და დასაქმდეთ სადაზღვევო ბაზრის ლიდერ კომპანიაში!

სადაზღვევო აგენტის ყოველთვიური ანაზღაურება შედგება: ფიქსირებული ანაზღაურებისგან, საკომისიოსა და დამატებით – თვის რეიტინგით საუკეთესო აგენტები მიიღებენ ბონუსს.

**ძირითადი მოთხოვნები:**
- უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება;
- სასურველია 1 წლიანი სამუშაო გამოცდილება გაყიდვებისა და კლიენტებთან ურთიერთობის სფეროში;
- სასაუბრო და წერა–კითხვის უნარები რუსულ და ინგლისურ ენებში;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარი – MS Office ცოდნა;

**აუცილებელი უნარები:**
- კომუნიკაბელურობა;
- პრეზენტაციის ჩატარების უნარი;
- ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის უნარი;
- ენერგიულობა;
- სისხარტე;
- მიზანმიმართული და შედეგის მიღწევაზე ორიენტირებული;
- ორგანიზებული ;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;

**ძირითადი მოვალეობები:**
- სადაზღვევო პროდუქტის საცალო გაყიდვა და რეკლამირება (პოტენციური კლიენტებისთვის პროდუქტ(ებ)ის შეთავაზება/გაყიდვა);
- არსებული კლიენტებისთვის სადაზღვევო პაკეტის განახლების შეთავაზება;
- სხვა დავალებები და პასუხისმგებლობები მოთხოვნის შესაბამისად.

დაინტერესებულმა პირებმა გამოგზავნეთ რეზიუმე (CV) და ფოტო სურათი შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: agent@aldagi.ge, ან გაიარეთ ალდაგის აკადემია ჩვენი Facebook-ის გვერდზე: http://www.facebook.com/aldagi

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ვაკანსიის მოთხოვნების შესაბამისად შერჩეული კანდიდატები იქნებიან მოწვეული გასაუბრებაზე.

## მარგველაშვილი მავთულხლართებს ჯართში ჩააბარებს



სოფელ ატოცის მოსახლეობასთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა:

„ჩამოვედით პირველ რიგში იმიტომ, რომ სადაც გვიჭირს, იქ ერთმანეთის გვერდში დავდგეთ. ისეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ერთმანეთის გვერდში დგომით ბოლომდე არ გაგვეტანოს. ყოფილა დროებითი დათმობები, მაგრამ მინდა შეგაგულიანოთ, რომ არაფერი ხდება ისე, რასაც ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენ გვყავს ძალიან სერიოზული მეგობრები, რომლებიც მხარში გვიდგანან. ამ მეგობრებთან ერთად ნათლად არის დასახული ის გზა, რომლითაც ჩვენ უნდა გავიდეთ ბოლომდე. პირველ რიგში, რასაც ხელისუფლება გააკეთებს, იქნება ის, რომ შეგიმსუბუქებთ იმ დარტყმას, რაც დღეს თქვენ მოგადგათ. რამდენადაც თითოეულის ტანზე და სხეულზე არ უნდა გადიოდეს ეს მავთულხლართი, ბოლოს მაინც სიკეთით, იმ ადამიანებთან, იმ ჩვენს ოს ძმებთან ურთიერთობებს დავეყრდნობით და ამ მავთულხლართებს ბოლოს მშვიდად, წყნარად ჩავაბარებთ ჯართში“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, არსებულ სიტუაციაში, როდესაც მავთულხლართების გაბმა გაგრძელდა, ხელისუფლება და მოსახლეობა პროვოკაციას არ უნდა წამოეგოს და ამ სიტუაციაში აუცილებელია გონიერებით იმოქმედონ. „ამ პროცესს ჩვენ აღვიქვამთ, როგორც კონფლიქტის კონსერვაციის მცდელობას. კიდევ ერთხელ შეფასება მინდა მივცე მავთულხლართებს. არავითარი სტრატეგიული დანიშნულება ამ მავთულხლართებს არ აქვს. ეს არის გავლებული იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა არ იურთიერთონ ერთმანეთთან. ეს საშიშროება გაჩნდა იქიდან, რომ რა პროცესები, რა რეფორმებიც მიმდინარეობს საქართველოში, აქედან გამომდინარე ცხინვალის რეგიონში ჩვენს მოძმეებს უნდათ ჩვენთან ურთიერთობა. ისევ იწყებოდა პიროვნული ურთიერთობების აღდგენა. ეს არის ჩვენი სიმდიდრე და ამის წინააღმდეგ არის გავლებული ეს მავთულხლართები“, – განაცხადა პრეზიდენტმა. (ინტერპრესნიუსი)

## ჭიათურაში მაღაროელების გაფიცვა გრძელდება

მაღაროს თანამშრომლები ხელფასების გაზრდას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და გაცდენილი სამუშაო დღეების ანაზღაურებას ითხოვენ.

მაღაროელები „ჯორჯიან მანგანეზის“ დირექციას მოთხოვნების დროულად დაკმაყოფილებას სთხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან.

„ჯორჯიან მანგანეზის“ ხელმძღვანელობამ მოლაპარაკებები უკვე დაიწყო გაფიცულ მაღაროელებთან, თუმცა, უცნობია დააკმაყოფილებენ თუ არა გაფიცულთა მოთხოვნებს. (ინტერპრესნიუსი)

## ნარმანია შვეიცარიელებს შეხვდა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია და მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს რეგიონების განვითარების კუთხით მიმდინარე პროექტებსა და აქტივობებზე ისაუბრეს. 2014 წელს რეგიონული სტრატეგიების მიხედვით სამოქმედო გეგმების შემუშავებაა დაგეგმილი. ასევე, იგეგმება თვითმმართველობების მოხელეების დატრენინგება და ამ მიმართულებით საერთო კონცეფციის შემუშავება.

შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და დაახლოების სურვილი გამოთქვეს. (ინტერპრესნიუსი)



# როგორ აფასებს ყოფილი ადვოკატი მანანა კობახიძე მეგობარი ზაზა ხატიაშვილის განცხადებებს?

რას ფიქრობს ყოფილი ადვოკატი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, მანანა კობახიძე ყოფილი მეგობრის, ზაზა ხატიაშვილის გარშემო ბოლო ხანს აგორებულ სკანდალზე და აჭარის მთავარ პროკურორად იმ ადამიანის დანიშვნაზე, რომელმაც არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილი 63 მილიონი ლარით დააჯარიმა?

**— როგორც ყოფილი ადვოკატი, როგორ აფასებთ ზაზა ხატიაშვილისა და „ადვოკატთა ასოციაციის“ პოზიციას ჯალათ გოგა ონიანის დაპატიმრებასთან დაკავშირებით? „ალიასთან“ კი ახსნა, რომ მან თვითონ დაკავების მეთოდი გააპროტესტა, მაგრამ ის ხომ თქვენი მეგობარი იყო, რატომ არ ელაპარაკებით?**

– სხვათა შორის, ეს დღეები სულ ვფიქრობდი, ნეტა რომელიმე ჟურნალისტმა ამის შესახებ მკითხოს-მეთქი და მადლობა, რომ მკითხე... პირველ რიგში ვიტყვი, რომ ადვოკატი მართლა უნდა იყოს დამოუკიდებელი, არავინ არ უნდა ჩაერიოს მის საქმიანობაში, ეს აქსიომაა, მაგრამ რა ხდება კონკრეტულ შემთხვევაში? გოგა ონიანს არავინ არ ერჩის იმის გამო, რომ ის არის ადვოკატი. მოდი, ვთქვათ სიმართლე, ადვოკატების დევნა ისეთი უნდა, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა. გვდევნიდნენ მეც, ქეთი ბექაურსაც, შალვა შავგულიძესაც და ეკა ბესელიასაც. ასზე მეტი ადვოკატი ციხეში იყო გამომწყვდეული აბსურდული ბრალდებებით. თითქმის ყოველდღე ამწყვდევდნენ „კაპეზეში“ ადვოკატებს, რათა პროკურატურას სასურველი ჩვენების დადასტურება მიეღო. სამწუხაროდ, ასეთი ამბავი მეც გადამხდა თავს, როდესაც პროკურორმა დავით ხიზანაიძემ გამომკეტა რამდენიმე საათი, რომ იძულებით მიღებულ ჩვენებაზე დავთანხმებოდი. ალბათ, გახსოვს, გენერალ უჩავას რომ დააწერინეს 2011 წლის 26 მაისს რაღაც სისულელეები, მაშინ მას მე ვიცავდი. ძალიან კარგად მახსოვს ხიზანაიძის სახეც, საქციელიც და ისიც, როგორ არ მიშვებდა „მოდულის“ შენობიდან, უჩავას ჩვენებაზე უნდა მოაწერო ხელიო. სხვათა შორის, მაშინ ზაზა ხატიაშვილი აქტიურად მიცავდა და „ევროპულ ასოციაციასაც“ კი აცნობა.

**— ეს ხიზანაიძე სად არის, ხომ არ იცით?**

– სიმართლე გითხრა, მას შემდეგ ეს ადამიანი არსად არ შემხვედრია, ერთი უნდა დავინტერესდე, ისევ მუშაობს თუ არა.

**— 2013 წლის სექტემბერში გაზეთ „ქრონიკაში“ დაიწერა, რომ ის დააწინაურეს. ბარემ აქვე გატყვით, რომ აჭარის პროკურორად დანიშნეს შოთა ტყეშელაშვილი, რომელმაც თავის დროზე ბიძინა ივანიშვილს დაუყადაღა 63 მილიონი ლარის ქონება.**

– ძალიან სამწუხაროა... არ ვიცი, მე გავარკვევ ამ საქმეს. კონკრეტულ პროკურორებზე ძალიან მძიმე ტვირთებია წამოკიდებული, ისინი კანონს არღვევდნენ. აი, ეს საჩივრებია სწორედ, პროკურატურაში რომ დევს. არ შეიძლება, საჩივარი ისევ იმ ადამიანს დაეწეროს, ვინც კანონს არღვევდა და ძალადობდა. ეს საკითხები მეც ძალიან მაწუხებს.

მე ხატიაშვილის საქციელს ვერაფრით ვერ ვხსნი, იძახის, დაკავების ფორმა იყო არაკანონიერიო. რატომ იყო არაკანონიერი, როცა ონიანის მეუღლე ამბობს, თავისი უფლებები განუმარტეს, მანქანაში ჩასვეს და წაიყვანესო. ონიანი „რუსთავი 2“-ს რომ აძლევდა ინტერვიუს, იქ დაირღვა მისი უფლებები? მე სააკაშვილის პერიოდში არ მახსენდება, დაკავებულებს ინტერვიუების მიცემის უფლებას აძლევდნენ? ასე რომ, ზაზა ხატიაშვილის განცხადებები აბსოლუტურად გაუგებარია ჩემთვის.

ონიანი ემსახურებოდა რეჟიმს და ემსახურება ახლაც. როცა „ნაციონალების“ მიერ ჩადენილ დანაშაულს ამართლებ, როცა ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს ამართლებ, ეს არის სააკაშვილის რეჟიმის დაცვა. ხატიაშვილს ვეკითხები: სოსო ბარათაშვილიც ადვოკატია და გოგა ონიანიც? შეუძლიათ, ამ სიტყვების გამო მიჩივლონ... მე მგონი, უკვე მიჩივლეს, მაგრამ ჩემამდე ჯერ სარჩელი არ მოსულა.

**— ამის შესახებ კი გავიგე, მაგრამ მეგონა, ისე გააკეთეს განცხადება.**

– კი, მიჩივლეს, თითქოს მე შევლახე მათი პატივი და ღირსება, როცა სამართალდამცავების მოქმედება გავამართლე. არ ვიცი, შეიძლება სასამართლომ მათი სარჩელი არც მიიღო. რაკი გოგა ონიანი ბაჩო ახალაიას იცავს, დანაშაულზე პასუხი აღარ უნდა აგოს? „ნაციონალები“ იმასაც ამბობენ, მაგას კენჭი უნდა ეყარა, საარჩევნო სიაში უნდა ჩაგვესვა და ამიტომ დაიჭირესო. ჯერ ერთი, ეგ ვინ იცოდა და მეორეც – რა ვქნათ, თუ ყველა დამნაშავე სიაში ჩაწერეს, დანაშაული შერჩეთ და პროკურატურამ საქმე აღარ გააკეთოს?

ჩემი აზრით, რომეო საჯაიასა და გოგა ონიანის მსგავსი ადვოკატები „ადვოკატთა ასოციაციას“ კარგს ვერაფერს მოუტანენ. ზაზა ხატიაშვილი ასოციაციის განვითარებით უნდა იყოს დაკავებული და არა ასეთი განცხადებებით. ძალიან მწყდება გული, მან ჯალათების დაცვა დაიწყო და ეს ყველაფერი გააიგივა ადვოკატების დაცვასთან.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ოპოზიციურად განწყობილ ბიზნესმენებს ავიწროებენ?



საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელ ფადი ასლის განცხადებით, „საქართველოში არსებული პოლიტიკური კლიმატი ინვესტორებს ქვეყნით დაინტერესებაში ხელს უშლის“.

ფადი ასლის თქმით, „ოპოზიციურად განწყობილი ბიზნესმენის შევიწროება, სასამართლოს რეალური დამოუკიდებლობის არარსებობა და სხვადასხვა კანონების ბიზნესთან კონსულტაციის გარეშე მიღება, ძირითადი ფაქტორებია, რაც ინვესტიციებს აფერხებს“.

მისივე განმარტებით, „როდესაც პოლიტიკური არასტაბილურობაა, ინვესტორები თანხის ჩადებისგან თავს იკავებენ და მთავრობის ვალდებულებაა, შექმნას სტაბილურობა, რომ ბიზნესებმა გაფართოება შეძლონ... წლების განმავლობაში ვცდილობ, მთავრობას გავაგებინო, რომ წარსულში დაშვებული შეცდომების გამეორება არ უნდა მოხდეს. არის საკითხები, რომლებიც ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის პერიოდიდან გადაუჭრელია და ერთ-ერთი ასეთი საგადასახადო კოდექსის დეკრიმინალიზაციაა“. – აცხადებს ფადი ასლი. (ფრონტნიუსი)

## „რა უცნაური ხალხი ყოფილან უკრაინელები“



სოციალურ ქსელში რეჟისორი რობერტ სტურუა თავის მოსაზრებას ავრცელებს:

„რა უცნაური ხალხი ყოფილან უკრაინელები: ეძებენ ქვეყნის პრეზიდენტს, რომ გაასამართლონ ჩადენილი დანაშაულის გამო – თავისუფლების შეზღუდვის, საკუთარი მოქალაქეების დარბევის, სისხლისღვრის, ქურდობის, საკუთარი ოჯახის წევრების უკანონო გამდიდრების, უამრავი საპრეზიდენტო რეზიდენციის ქვეყნის ბიუჯეტის თანხებით აგების გამო?!...ეძებენ, რათა გაასამართლონ,...თქვენ წარმოგიდგენიათ?! არა, ჩვენთვის ეს გაუგებარი რამაა! ახლა კიდევ, მომავალ პარლამენტში, მინისტრების სიებში არ ვიხილოთ ადამიანები, ვინც ადრე კრიმინალურ პრეზიდენტს ემსახურებოდაო?! არა, არა, აქეთ გადმოიხედეთ, ჩვენთან პირიქით, ჰუმანიზმი პირველ რიგში! მკვლელი? რასაკვირველია, უნდა შევიბრალოთ, ადამიანები არა ვართ? ვიღაცამ ვიღაცა გააუპატიურა (რა მოხდა – კაცია თუ ქალი) რატომ ბოროტდებით, ძმებო? კაცია და არ უნდა გავუგოთ?! ჰოდა, ნახეთ, რა ტკბილ შედეგებს მივაღწიეთ! მართალია, ისინი ჩვენ გვაბრალებენ იმ დანაშაულს, რაშიც ასე დაოსტატდნენ. ჩვენგან მოითხოვენ კაცთმოყვარეობას, ადამიანის უფლებების დაცვას, და ძალიან კარგი! ჩვენ პირდაღებულნი ვუსმენთ და ვსწავლობთ დემოკრატიის პრინციპებს. აი, ვიღაც ლამაზი მომღერალი გაიძახის, მე მიყვარს მკვლელებიო, მეორე ლოგინში უწვება, ქურქი აჩუქეს. ასე არ სჯობს?! ეს უკრაინელები კი რაღაც ნამეტანი ბოროტი ხალხი ყოფილა, ეტყობა, ძალიან ვერ იტანენ საკუთარ ნაძირალებს,... ტყუილად კი არ ჩავიდა მაიდანზე ჩვენი ექსჭკვიანი კიევში. ალბათ, აუხსნის რაა პოლიტიკა. ისწავლეთ, ისწავლეთ, უკრაინელებო, თუ მშვიდობა გინდათ. კოჰაბიტაციასაც შეგახსენებთ ევროკავშირის ვინმე პედოფილი თუ მექრთამე... და იცხოვრეთ ასე, ლამაზად და ტკბილად: ჭამეთ ვარენიკები არაყანში ამოვლებული და წიწაკიანი ჰორილკა დააყოლეთ,...უხ, შენი, არ გვიჯერებენ, მაინც მოითხოვენ იანუკოვიჩის დასჯას,...მაშინ თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ“. – წერს სტურუა.

# ექსკლუზივი

**„ალიას" ფინანსისტი, „მეწარმეთა უფასო დახმარების ცენტრის" დამფუძნებელი გიორგი ჩახაია ესაუბრა:**

**— ბატონო გიორგი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დოკუმენტაციას სწავლობდით. რა შედეგი მიიღეთ, დიდი ხარჯები აქვთ?**

– სამინისტროს, მისი ქვეუწყებებისა და მის მართვაში მყოფი სახელმწიფო კომპანიების მიერ, 2013 წლისთვის გაწეული ზოგიერთი ტიპის ხარჯის მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოლიდური თანხებია დახარჯული შემდეგი მიმართულებებით: ავტოსატრანსპორტო საშუალებების, ტექმომსახურების, საწვავის, კომპიუტერული ტექნიკის, მობილური ტელეფონის აპარატებისა და ავეჯის შესაძენად.

**— დავიწყოთ მანქანებით...**

– 2013 წლისთვის, სამინისტრომ შეიძინა 1 989 161 ლარის ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებები. მათ შორის შეძენილ იქნა შემდეგი ძვირადღირებული ე.წ. ჯიპები: სამინისტროს აპარატის მიერ – ახალი „ტოიოტა ლენდკრუიზერ პრადო" 84 545 ლარად და სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სახელმწიფო საწარმო „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ – „ტოიოტა ლენდკრუიზერ 200" 127 866 ლარად. 84 545 ლარიც სრულებით ზედმეტია ავტომობილის შესაძენად, მით უმეტეს 127 866-ლარიანი ჯიპის გარეშეც უნდა შეძლოს თანამდებობის პირმა საკუთარი უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელება. ეს რაც შეეხება უშუალოდ 2013 წელს შეძენილ ავტომობილებს. გარდა ამისა, მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია, ახალი ხელისუფლების პირობებში შეძენილი სხვა ავტომობილების შესახებაც. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, 2012 წლის ბოლო თვეებში, 53 635 ლარის ღირებულების 17 ერთეული ძველი ავტოსატრანსპორტო საშუალება ჩანაცვლებულია 472 814 ლარის ღირებულების 17 ერთეული ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებით (თითო ავტომობილი, საშუალოდ, 27 800 ლარი). 2014 წლის დასაწყისში, „მუნიციპალური განვითარების ფონდის" მიერ, 29 100 ლარის ღირებულების 8 ერთეული ძველი ავტომობილი, ჩანაცვლებულია 246 608 ლარის ღირებულების 8 ერთეული ახალი ავტომობილით (თითო ავტომობილი, საშუალოდ, 30 800 ლარი). გარდა ამისა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია 491 000 ლარის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე აწარმოებს მოლაპარაკებას და ამზადებს ხელშეკრულებას მომწოდებელთან.

**— მანქანების ტექმომსახურება, ბენზინი?..**

– დიახ, სამინისტროსა და მისი უწყებების მიერ, დაიდო 524 147 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექმომსახურებასა და რეცხვაზე, ხოლო 6 046 984 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები საწვავის შეძენაზე. არაერთხელ მითქვამს და, კვლავ დავაფიქსირებ ჩემს მოსაზრებას, რომ ავტომობილების შეძენაზე დიდი თანხების დახარჯვა ერთი კონკრეტული პრობლემაა და, ასევე, ცალკე პრობლემაა ამ ავტომობილების მოვლა-პატრონობასა და საწვავზე დახარჯული თანხების რაოდენობა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიგნოს ხელისუფლებამ, რომ არ შეიძლება, ამ რაოდენობის სახელმწიფო სახსრები იხარჯებოდეს ავტოპარკის განახლებასა და შენახვაზე.

**— რომელ სამინისტროებზეც აქამდე გამოვაქვეყნეთ მონაცემები, კომპიუტერულ ტექნიკასა და მობილურებზე საკმაო თანხები დახარჯეს. ნარმანიას სამინისტროს შემთხვევაში რა ხდება?**



– ზოგადად, საოფისე ტექნიკასა და, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის, ასევე მობილური ტელეფონის აპარატების შეძენაზე, მართლაც შთამბეჭდავი თანხებია დახარჯული. სამინისტრომ და მისმა დაწესებულებებმა, 2013 წელს შეიძინეს 53 218 ლარის ღირებულების საყოფაცხოვრებო ტექნიკა, 572 640 ლარის კომპიუტერული ტექნიკა და, 32 364 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონის აპარატები. ამოვწერე რამდენიმე კონკრეტული შეძენის ფაქტი. რაც ჩემთვის ძალიან სამწუხარო აღმოჩნდა, დავუშვათ, შეძენილია „სონის" ვიდეოკამერა 10 493 ლარად, ფოტოაპარატი „ქენონი" 5 955 ლარად, 3660-ლარიანი „სონის" ფირმის ე.წ. ლეპტოპი, 3935-ლარიანი პერსონალური კომპიუტერი, 4100-ლარიანი ნოუთბუქი „მაკბუქ პრო", იგივე „მაკბუქ პრო" 3850 ლარად, 9 ცალი „მაკბუქ ეარი", საცალო ღირებულებით 1889 ლარი, 2 ცალი „მაკბუქ პრო" საცალო ღირებულებით 3785 ლარი, ასევე მაგიდის კომპიუტერი „აი მაკი", ღირებულებით 2999 ლარი.

**— მობილური ტელეფონები არ შეუძენიათ?**

– რაც შეეხება მობილური ტელეფონის აპარატებს, ამ მიმართულებითაც შთამბეჭდავი შენაძენები გაკეთდა. შეძენილია: ერთი 1800-ლარიანი „აიფონ 5", 2 ცალი „აიფონ 4" – საცალო ფასით 1150 ლარი, „აიფონ 5" – საცალო ღირებულებით 2098 ლარი. დაბოლოს, ცალკე მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, ერთი ხელშეკრულებით შეძენილია 30 ცალი „სამსუნგ" „გალაქსი", საერთო ღირებულებით 24 000 ლარი.

**— ავეჯი არ შეიცვალა?**

– სულ სამინისტრომ და უწყებებმა, 2013 წელს შეიძინეს 81 749 ლარის ღირებულების ავეჯი. მინდა გამოვყო ორი შენაძენი: ტყავის სამეული 4290 ლარად და ხელმძღვანელის საკაბინეტო მაგიდა 3400 ლარად. მაღალი ხარისხის ტყავის სამეულების და „ხელმძღვანელის" სამუშაო მაგიდების გარეშეც ხომ ადვილად შესაძლებელია საჯარო სამსახურში მუშაობა.

**— რესტორნები? სხვა სამინისტროებს საკმაო ხარჯები ჰქონდათ ამ მიმართულებით?**

– ერთადერთი დადებითი, რაც ამ ხარჯებში აღმოვაჩინე, ის არის, რომ სამინისტროსა და მის უწყებებს, სხვა სამინისტროებისგან განსხვავებით, სარესტორნო მომსახურებასა და ფურშეტებზე, რამე განსაკუთრებულად დიდი ხარჯი არ აქვთ გაწეული. სულ, ამ მიმართულებით დაიხარჯა 36 492 ლარი. ასევე შემიძლია, მოგაწოდოთ ინფორმაცია, სასმელებისა და სხვადასხვა საკვები პროდუქტების შეძენის შესახებ. სულ 2013 წლისთვის დაიდო 35 053 ლარის ხელშეკრულებები ამ მიმართულებით. მათ შორის, შეძენილ იქნა 105 კილოგრამი ყავა და ცხელი შოკოლადი, საერთო ღირებულებით 6270 ლარი.

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# რას ხარჯავს მინისტრობისას ნარმანია?

## და რას უზამს მერობისას თბილისის ბიუჯეტს?

ავტოსატრანსპორტო საშუალებებში – 1 989 161 ლარი; საწვავში – 6 046 984 ლარი; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექმომსახურებასა და რეცხვაში – 524 147 ლარი; კომპიუტერულ ტექნიკაში – 572 640 ლარი; ავეჯში – 81 749 ლარი; მობილურ ტელეფონებში – 32 364 ლარი; ვიდეოკამერაში – 10 493 ლარი;





ხელშეკრულება № 02-103101

| № | საქონლის დასახელება | საქონლის მახასიათებლები | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | iPhone 5s | 64 GB silver | ცალი | 1 | 1998 | 1998 |
| 2 | გადამყვანი | adapter | ცალი | 1 | 1.00 | 1.00 |
| 3 | ჩანთა | Case for mini | ცალი | 1 | 99 | 99 |
| სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით | | | | | | 2098 ([illegible]) ლარი |

შემსყიდველი: შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

მიმწოდებელი: შპს „iPhone+"

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### ადვოკატი საჯაია 50 ლარით დააჯარიმეს



მოსამართლე გიორგი არევაძემ ადვოკატი რომეო საჯაია 50 ლარით დააჯარიმა. გოგა ონიანის სასამართლო პროცესზე მოსამართლემ გაიხსენა ერთ-ერთი დღე, როდესაც პროცესის დასრულების შემდეგ საჯაიამ ის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენია. მოსამართლემ საჯაიას მიმართა, განემარტა, რას ნიშნავს სიტყვა „ჩმორი", რომელიც მის მიმართ გამოიყენა და რამ განაპირობა ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენება.

„თქვენ დღეს მომმართავთ „თქვენო ღირსებავ", თუმცა მინდა გაგახსენოთ ერთი დღე, როდესაც გამოხვედით დერეფანში და უშვერი სიტყვებით მლანძღეთ. გულწრფელად მაინტერესებს, ახლაც ასე ფიქრობთ თუ არა", – მიმართა მოსამართლემ ადვოკატს, თუმცა საჯაიამ მას კონკრეტული პასუხი არ გასცა. ადვოკატის თქმით, არ სურს მისმა პასუხმა დღევანდელი პროცესის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება იქონიოს. მოსამართლემ განმარტა, რას ითვალისწინებს კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში და აღნიშნა, რომ არაფერ შუაშია პირადი წყენა და ხაზი მოსამართლესთან დამოკიდებულებას გაუსვა.

მოსამართლე გიორგი არევაძის თქმით, ეს ფაქტი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს და ადვოკატი რომეო საჯაია, მინიმალური თანხით 50 ლარით დაჯარიმდა. (ინტერპრესნიუსი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



## კოსმეტიკა შესაძლოა, ნევროზის მიზეზი გახდეს?



თანამედროვე ლამაზმანების ფსიქიკა თურმე, ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ ყოფილა – მედიკოსები სერიოზულად შიშობენ, რომ მშვენიერ სქესში არსებობს ე.წ. დამოკიდებულება კოსმეტიკის მიმართ, რასაც შესაძლოა, ნევროზის ან ფობიის განვითარებაც კი მოჰყვეს.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, რომელიც დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში ჩატარდა, ქალების 34 პროცენტი ქუჩაში მაკიაჟის გარეშე ცხვირსაც კი არ გაყოფს, თუნდაც დამანგრეველი მიწისძვრის რეალური საფრთხე არსებობდეს.



რესპონდენტების აზრით, კოსმეტიკის გარეშე შესაძლოა, მათ კარიერულ წინსვლაში ხელი შეეშალოთ. ასე ფიქრობს გამოკითხულთა 25 პროცენტი. 10 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ თუკი სახეზე სპეციალური საშუალებები არ უსვიათ, შეყვარებულებსა და ქმრებსაც კი არ დაენახვებიან.

აქედან გამომდინარე, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ მშვენიერი სქესის უმეტეს ნაწილს, რომლებიც კოსმეტიკის გარეშე ფეხსაც კი არ დგამენ, დიდი ხანია, ქრონიკული ნევროზი და ფობია აქვს. ჰოდა, ამ ყველაფერს შეიძლება ის შედეგი მოჰყვეს, რომ ერთ არცთუ მშვენიერ დღეს კოსმეტიკა საერთოდ გაქრეს, კლინიკები კი სულიერად ავადმყოფი ადამიანებით გადაივსოს.

ფსიქოლოგების აზრით, მწარმოებლები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რათა მშვენიერ სქესში კოსმეტიკის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩამოყალიბდეს და რაც შეიძლება, ბევრი ფული იშოვონ. ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ კოსმეტიკაში ხშირად პოულობენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალიან მავნე ნივთიერებებს, გამოდის, რომ ქალებმა გაპრანჭვის ალტერნატიული საშუალებების ძიებაზე უნდა იფიქრონ და რაც შეიძლება, სწრაფად.

*myjane.ru*

## გლაუკომას დროს მხედველობის გაუარესების შეჩერება შეიძლება?



ახალმა კვლევამ აჩვენა, რომ გლაუკომას დროს მხედველობის გაუარესების შეჩერება შესაძლებელი ყოფილა, რის მიღწევაც შიდა თვალის წნევის შემცირებით ხერხდება.

იაპონელების მიერ ორგანიზებულ კვლევაში სულ 216-მა პაციენტმა მიიღო მონაწილეობა, რომლებსაც ღიაკუთხოვანი გლაუკომას დიაგნოზი ჰქონდა დასმული. მათ დაენიშნათ მკურნალობა, რომლის მიზანიც შიდა თვალის წნევის 30 და მეტი პროცენტით შემცირება გახლდათ. ექსპერიმენტის მსვლელობისას პაციენტები რეგულარულ შემოწმებას გადიოდნენ, ამასთანავე, არ წყვეტდნენ პრეპარატების მიღებას, რომელთაც წნევის დაწევა შეეძლოთ.

საბოლოო ჯამში, სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მხედველობის გაუარესებისთვის ხელსაყრელ პირობებს პაციენტთა ასაკი და ორგანიზმში ანტიკარდიოლიპონური ანტისხეულების არანორმალური კონცენტრაცია ქმნიდა. ასევე, დადგინდა ისიც, რომ შიდა თვალის წნევის შემცირება შესაძლებელს ხდის, მხედველობის დაკარგვის პროცესი მნიშვნელოვნად შეფერხდეს.

სპეციალისტების განმარტებით, ახალი კვლევის შედეგებით ისინი ასაკიანი ხალხისთვის, რომლებსაც გლაუკომას გამო მხედველობა უუარესდებათ, დახმარების აღმოჩენას გაცილებით ადვილად შეძლებენ.

*dr20.ru*

## კოცნის შედეგად, ბავშვს შეიძლება კარიესი გადაედოს?



რაღა თქმა უნდა, კოცნით შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს ბევრნაირი დაავადება გადადოს, მაგრამ კარიესიც თუ შედიოდა ჩამონათვალში, ნამდვილად არ გვეგონა.

კანადელი სტომატოლოგების თქმით, კბილებთან დაკავშირებული პრობლემების გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი პირის ღრუს დაავადებების დაგვიანებული პროფილაქტიკაა. უფრო მეტიც, ისინი ამტკიცებენ, რომ ბავშვის პირის ღრუზე ზრუნვა მშობელმა ჯერ კიდევ მაშინ უნდა დაიწყოს, როცა პატარას პირველი კბილიც კი არ აქვს ამოსული.

არსებული ინფორმაციით, კარიესის გამომწვევი ბაქტერიები ადამიანის პირში კბილების ამოსვლამდე გროვდება. ამდენად, აუცილებელია, რომ ჩვილებს ღრძილები მცირე ასაკიდანვე გავუწმინდოთ ხოლმე.

პრობლემების ერთი ნაწილისგან თავის დაძვრენა შეიძლება, თუკი ბავშვებს ტუჩებში არ ვაკოცებთ და მათ საჭმელს გასაციებლად სულს არ შევუბერავთ. პირველი სტომატოლოგიური შემოწმების ჩატარება კი რეკომენდებულია ერთი წლის ასაკში.

დაბოლოს, აუცილებელია იმის ცოდნაც, რომ ბავშვის სტომატოლოგიურ ჯანმრთელობაზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს დედის კვების რაციონი ფეხმძიმობის პერიოდში.

*medportal.ru*

## რატომ არის საშიში ცხვირის წვეთები?



ექიმების რეკომენდაციაა, ხანგრძლივად არც ერთი საშუალება არ გამოვიყენოთ – მაქსიმუმ 5-8 დღე.

რატომ? რაღა, რატომ — სურდოს საწინააღმდეგო საშუალებებთან დაკავშირებით მედიკოსები ამბობენ:

– ცხვირის წვეთები ძალიან მალე იწვევს შეჩვევას და ორგანიზმი ახალ-ახალი პორციების მიღებას უკვე ყოველდღიურად მოითხოვს.

თურმე, როცა ორგანიზმი სურდოს საწინააღმდეგო პრეპარატებს ეჩვევა, ცხვირი მაშინაც კი ეჭედება ადამიანს, როცა არავითარი ვირუსი არ აქვს და სუნთქვის გახსნა მხოლოდ წვეთების შეშხაპუნების შემდეგ ხერხდება. ასეთ დამოკიდებულებას კი ექიმები თითქმის ნარკომანობასთან აიგივებენ.

ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს მონეტის მხოლოდ ერთი მხარეა და უსიამოვნებები ამით არ იწურება.

იმ შემთხვევაში, თუკი წვეთებს ან სპრეის ადამიანი დიდხანს იყენებს (მაგალითად, წლის მანძილზე), სავსებით შესაძლებელია ჰიპერტონია განუვითარდეს, რადგან ეს მედიკამენტური საშუალება ძარღვების შევიწროებას იწვევს. მაშ, სადღაა გამოსავალი, მაგის დედაც ვატირეთ?!

– სიმპტომების გაჩენისას, უნდა შეეცადოთ, რამდენიმე დღე მოითმინოთ და ისუნთქოთ არა პირით, არამედ ცხვირით — ნელა და ღრმად, – გვირჩევენ ექიმები.

არსებობს კიდევ ერთი ხერხი – სწრაფად აიაროთ კიბე ან თავი სხვა ფიზიკური აქტიურობით დაიტვირთოთ. შედეგად სისხლში ადრენალინის ბუნებრივად გამომუშავება ხდება და სპაზმებისგანაც ადვილად განთავისუფლდებით.

*myjane.ru*

## როდის შეუძლია სასარგებლო ვიტამინებს იმუნიტეტის დასუსტება?



ამ შემთხვევაშიც კვლავ გაციებასა და გრიპს შევეხებით – მედიკოსების განმარტებით, აღნიშნული უსიამოვნებების დროს სხვადასხვა ვიტამინის მიღება არაფრით შეიძლება. რატომ?

– ამით ვირუსებს არათუ მოერევით, არამედ პირიქით, ვიტამინების ჭარბი რაოდენობით ღვიძლსა და თირკმლებს დაიტვირთავთ, რასაც იმუნიტეტის დასუსტება მოჰყვება, – ამბობენ ექიმები.

გრიპის დროს საუკეთესო გამოსავალია, საკუთარი ორგანიზმი ვიტამინებით პროდუქტების დახმარებით მოამარაგოთ. მაგალითად, ასკორბინი (ცე ვიტამინი) საკმარისი რაოდენობითაა წიწაკაში, კივში, აბლეპინხაში, ციტრუსებში და ასე შემდეგ. საკმარისია ამ პროდუქტების რაციონში დამატება, რომ გაციებას თქვენი იმუნიტეტი ისეთ წინააღმდეგობას გაუწევს, რომ სულ ბდღვირს ადენს. სეზონური დაავადებების დროს, უმჯობესია, პოლივიტამინების კომპლექსზე უარი თქვათ.

*dr20.ru*

## მეცნიერებს „სიბერის სარკის“ შექმნა სურთ



საზოგადოება უკვე მიეჩვია, რომ მეცნიერების ახალ-ახალ გამოგონებებში ძალიან ბევრია ფანტასტიკისა და ზღაპრების დოზები და აი, დადგა დრო, როცა სწავლულები „ჯადოსნური სარკის“ ფენომენსაც მიადგნენ — ბრიტანელმა გამომგონებლებმა შექმნეს პროტოტიპი, რომელშიც არა მხოლოდ აწმყოს, არამედ მომავლის დანახვაც შეიძლება. ამისთვის საკმარისია მხოლოდ ღილაკზე თითის დაჭერა, სარკეში საკუთარი თავის ცქერა, რა დროსაც მოწყობილობა რამდენიმე წლით წინ წაგიყვანთ.

წინასწარ გაფრთხილებთ, სანახაობა საუკეთესო ნამდვილად არ იქნება, რადგან სარკეში ხომ საკუთარ სიბერეს დაინახავთ – დანაოჭებულ სახეს, გაჭაღარავებულ თმას, ნაღვლიან თვალებსა და ასე შემდეგ.

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, ჯერჯერობით „სიბერის სარკეზე“ მუშაობა დასრულებული არ არის, ხოლო პირველი, ვინც მასში ჩახედვას შეძლებს, ამერიკელი მოზარდები იქნებიან.

რატომ მაინცდამაინც ამერიკელი მოზარდები და არა, ვთქვათ, თავად ბრიტანელები, რთული სათქმელია, ასევე, უცნობია გამოგონების თავისებურებები, თუმცა შეგვიძლია, გითხრათ, რომ „სიბერის სარკის“ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მთელ მსოფლიოში უდიდესი ინტერესი მოჰყვა.

*tainamira.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# სკანვორდი



1. მსჯელობა, კამათი
2. „პერესტროიკის" ავტორი
3. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი
4. თანხა, რომელსაც მამა უხდის შვილს
5. აკრძალვა ეპიდემიის დროს
6. ვრცელი ველები ჩრდ. ამერიკაში
7. მსახიობი ნანკა ...
8. მისი დედაქალაქია რომი
9. ლეონიძე. „ჩირიკი და ..."
10. მოუხარშავი
11. ბიზეს ოპერა
12. მდინარე თერგის ხეობა
13. ხელოვნური ტყავი
14. პოეტი ... უკრაინკა
15. რეჟისორი სტენლი ...
16. თავბრუსხვევა
17. მრგვალძირა ქვაბი
18. ცხვრის ქონი
19. ამინდი (მოძვ.)
20. მკაცრი ცხოვრების მიმდევარი
21. კიანუ რივზი ფილმში
22. საპორტო ქალაქი საფრანგეთში
23. მსახიობი ... კვირიკაშვილი
24. ბანქოს ნახატი: „სალდათი"
25. მისი დედაქალაქია სოფია
26. მოხუცი ქალი, ანუ ...
27. ოდესური ანეკდოტის გმირი
28. ბულგარული ყველი
29. ბაშკირეთის დედაქალაქი
30. ზეთი ღვთისმსახურებაში
31. სამკურნალო დასასვენებელი ადგილი
32. მომღერალი ... ჯაბუა
33. ვაზის ტოტი ორი მტევნით
34. მწერალი სომერსეტ ...
35. არასწორი ინფორმაცია
36. მწერი
37. მოგზაური ტიმ ...
38. ბერძ. მითში: ქალი ყუთით
39. ჩინეთის დიდი კედელი
40. გემის ფანჯარა
41. ქალაქი კანადაში
42. პოლონური ფულის ერთეული
43. ყავისფერი პიგმენტი
44. დათვი რომ მოგერევა ... დაუძახეო
45. ისტერიული შიში
46. თავაშვებული ღრეობა
47. სახტუნაო ბადე
48. შეიარაღებული დაცვა
49. ნიშნავს ცივს
50. მსახიობი ჯუდ ...
51. მსახიობი სემ ...
52. თევზის ქვირითი
53. ცხენებშებმული ტრამვაი
54. რბილი ლითონი
55. მომღერალი ... ჯორჯი
56. ხელოვნური ენა
57. ორგ. ნივთიერება
58. მხ/ფ „ოპერაცია წმინდა ..."
59. მხატვარი ირაკლი ...
60. მსახიობი ქეით ...
61. მხ/ფ „ნეილონის ნაძვის ..."
62. კინოში ტრიუკების შემსრულებელი
63. იალქანი
64. მხატვარი ლუკას ... უმცროსი
65. სასწავლო დაწესებულება
66. ფინური აბანო
67. იანის საპირისპირო
68. ქრისტეფორე მგალობლიშვილის სატრფო („შერეკილები")
69. მომღერალი ... მინოუგი
70. თევზის ჯიში
71. იგავი
72. გაზაფხულის თვე
73. მხ/ფ „... გული"
74. „კაცი, რომელიც იცინის" პერსონაჟი
75. ოპერის ტექსტი
76. საქონლის ჯოგი
77. დისტილირებული წყლის მისაღები ჭურჭელი
78. თხა. მისი რქა გახდა სიუხვის სიმბოლო
79. ჯუზეპე ვერდის ოპერა
80. მსახიობი ... კრუზი
81. მხატვარი ანრი ...
82. მსახიობი მარლონ ...
83. თავის მოსაკვეთი მანქანა
84. მსახიობი ... ოლივიე
85. ნაკურთხი წყალი
86. ესკიმოსების ნავი
87. მაღალი კვალიფიკაციის ხელოსანი
88. მუხის ნაყოფი
89. ... ხრენნიკოვი
90. ბუდისტი მღვდელი
91. ზაზა ... (ზუმბა)
92. მსახიობი ვიტორიო ...
93. ველური ცხენი
94. თვალის გუგა
95. წრის ფორმის საგანი
96. წარწერა კადრის ქვეშ
97. ლინდგრენი. „მანანწალა ..."
98. იმრე კალმანის ოპერეტა
99. გერმანული ავტომობილი
100. ღრმა, ციცაბო ხეობა
101. თამაში ...-ტაფელა
102. ესპანელი მხატვარი
103. მეცნიერება მცენარეების შესახებ
104. მსახიობი სილვანა ...
105. ჩოხის შიგნით ჩასაცმელი
106. ცხენის რძის სასმელი
107. ჩანჩქერი აშშ-ში
108. იუმორისტი ნიკა ...
109. დახმარება, მფარველობა
110. ავადმყოფობა, ანუ ...
111. გოია. „შიშველი ..."
112. რეჟისორი ალფონსო ...
113. მეტროს სადგური „გოცირიძე" დღეს
114. ცეცხლის ენა
115. ტბა აფრიკაში
116. მისი დედაქალაქია ტოკიო
117. ტენორი ბენიამინო ...
118. მსახიობი ... ჰარისი
119. ფეოდალზე დამოკიდებული მემამულე
120. მეწარმე ... ხუციშვილი
121. საპორტო ქალაქი საქართველოში
122. მოცეკვავე ... დოლაბერიძე
123. ცივი იარაღი
124. მწერალი ედგარ ალან ...
125. ოდრი ტოტუ ფილმში
126. შიიზმის მიმდევარი
127. სიკვდილისწინა მდგომარეობა
128. დადებითი ელექტროდი
129. ხელის ერთთვლიანი საზიდარი
130. ბია
131. მხ/ფ „იმერული ესკიზები" მათხოვარი
132. ტყის სული წვეტიანი ყურებით
133. შეკრული მორები წყალზე
134. შერეკილების საფრენი აპარატი
135. ბროში ადამიანის პროფილით
136. მსახიობი ... ელიავა
137. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
138. თბილისის უბანი
139. „მაუგლი" პითონი
140. მიმართვა იაპონელი ქალისადმი
141. შოკოლადის ხის ნაყოფი
142. საბჭოთა ავტომობილი
143. ფეხბურთელი ზინედინ ...
144. ყვავილი
145. აბელის მკვლელი

პასუხები: 1. დისკუსია; 2. გორბაჩოვი; 3. მედინა; 4. ალიმენტი; 5. კარანტინი; 6. პრერია; 7. კალატოზიშვილი; 8. იტალია; 9. ჩიკოტელა; 10. უმი; 11. „კარმენი"; 12. დარიალი; 13. დერმატინი; 14. ლესია; 15. კუბრიკი; 16. რეტი; 17. კარდალა; 18. დუმა; 19. ტაროსი; 20. პურიტანი; 21. „სიჩქარე"; 22. მარსელი; 23. მზია; 24. ვალეტი; 25. ბულგარეთი; 26. დედაბერი; 27. რაბინოვიჩი; 28. ბრინზა; 29. უფა; 30. მირონი; 31. სანატორიუმი; 32. მაია; 33. აკიდო; 34. მოემი; 35. დეზინფორმაცია; 36. კალია; 37. სევერინი; 38. პანდორა; 39. კედელი; 40. ილუმინატორი; 41. ტორონტო; 42. ზლოტი; 43. მელანინი; 44. ბაბა; 45. პანიკა; 46. ორგია; 47. ბატუტი; 48. ბადრაგი; 49. კრიო; 50. ლოუ; 51. ნილი; 52. ხიზილალა; 53. კონკა; 54. კალა; 55. ბოი; 56. იდო; 57. პირიდინი; 58. იანუარიუსი; 59. ოჩიაური; 60. უინსლეტი; 61. ხე; 62. კასკადიორი; 63. აფრა; 64. კრანახი; 65. სკოლა; 66. საუნა; 67. ინი; 68. თამუნია; 69. კაილი; 70. კალმახი; 71. არაკი; 72. მარტი; 73. მამაცი; 74. დეა; 75. ლიბრეტო; 76. ნახირი; 77. რეტორტა; 78. ამალთეა; 79. „აიდა"; 80. ტომ; 81. მატისი; 82. ბრანდო; 83. გილიოტინა; 84. ლოურენს; 85. აიაზმა; 86. უმიაკი; 87. ოსტატი; 88. რკო; 89. ტიხონ; 90. ლამა; 91. კორინთელი; 92. გასმანი; 93. მუსტანგი; 94. ბაია; 95. რგოლი; 96. ტიტრი; 97. რასმუსი; 98. „სილვა"; 99. „აუდი"; 100. კანიონი; 101. რიკ; 102. მურილიო; 103. ბოტანიკა; 104. მანგანო; 105. ახალუხი; 106. კუმისი; 107. ნიაგარა; 108. გრიგოლია; 109. პროდუქცია; 110. სენი; 111. მახა; 112. არაუ; 113. „დელისი"; 114. ალი; 115. ნიასა; 116. იაპონია; 117. ჯილი; 118. ედ; 119. ვასალი; 120. გიო; 121. ფოთი; 122. იამზე; 123. გორდა; 124. პო; 125. „ამელი"; 126. შიიტი; 127. აგონია; 128. ანოდი; 129. ურიკა; 130. კომში; 131. ოლია; 132. ელფი; 133. ტივი; 134. ცათმფრენი; 135. კამეა; 136. ლია; 137. მარტინა; 138. ვაშლიჯვარი; 139. კაა; 140. ტიან; 141. კაკაო; 142. „ზიმი"; 143. ზიდანი; 144. ია; 145. კაენი. იკითხება: გედები.

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მულტფილმი „მონსტრების ...“
2. ყვავის ბარტყი
3. პუბლიცისტი დეილ ...
4. საეკლესიო კრება
5. ოთახი დარბაზის წინ
6. კომპოზიტორი სერგეი ...
7. მწერალი რედიარდ ...
8. დედნიდან გადაღებული პირი
9. დონ კიხოტ ...
10. უნივერსიტეტი ...-მატერი
11. მზის სხივი
12. ტელეკომპლექსი მოსკოვში
13. ესპანელი მხატვარი
14. კავშირი, გაერთიანება
15. გამადიდებელი მინა
16. ნაკურთხი წყალი
17. თვალის გუგა
18. კუბის დედაქალაქი
19. ღვთის ურწმუნო ადამიანი
20. არბიტრი
21. პოეტი ... ტაბიძე
22. აბრეშუმის მტკიცე ქსოვილი
23. აბზინდის არაყი
24. საიუველირო ქვა
25. ცივი იარაღი
26. მულტიპლიკაცია, ანუ ...
27. ხაფანგი ფრინველებისათვის
28. ჯუჯა კენგურუ
29. მსახიობი ... ჩურიკოვა
30. რეჟისორი გიორგი ...
31. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
32. უმაღლესი განათლების დოკუმენტი
33. შტატი აშშ-ში
34. საოკეანო სამგზავრო გემი
35. მდინარე აღმ. საქართ.
36. მსახიობი ... როკი
37. მსახიობი ... ბრინერი
38. ინის საპირისპირო
39. ჩარხი
40. უფლის სამოსი
41. სასწორის ჯამი
42. ექიმი, იკვლევს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს
43. სამეჯლისო ცეკვა
44. მსახ. ... კალატოზიშვილი
45. ნაკლი, ზადი
46. მდინარე რუსეთში
47. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
48. მდგრადი, ანუ ... შემოსავალი
49. ჰევეას წვენი, ანუ ...
50. რეჟისორი ... პარკერი
51. მდინარის დასაწყისი
52. ნანული სარაჯიშვილი ფილმში
53. „ბითლზი“ ჯონ ...
54. მსახიობი ... ტოტუ
55. ქარბორბალა
56. სურდო
57. მეფის მხლებლები
58. ციტრუსი
59. ... ლიოდ ვებერი
60. მხ/ფ „ადამიანი ... ბულვარიდან“
61. მწერალი ალექსანდრე ...
62. ბოსფორი, დარდანელი
63. მდინარე ინდოეთში
64. ვაჟიშვილი
65. პოეტი ანა ...
66. ქიაჩელი. „... ბიგვა“
67. სოფელი საგარეჯოს რაიონში
68. სამხედრო წოდება
69. ქალაქი იაპონიაში
70. შვიდი დღე
71. ბუმბულის ცვლის პერიოდი
72. მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში
73. ქართ. ხალხური ზღაპარი
74. მხ/ფ „ჰელოუ ...“
75. წყალსაცავი. ჩაედინება მტკვარი
76. ერთყურიანი სათვალე
77. მისი დედაქალაქია რომი
78. ცხვრის ქონი
79. კომპოზიტორი ... კვერნაძე
80. საცალფეხო გზა ტყეში
81. ზამბახი
82. რაიონი, ანუ ...
83. მწერალი ჟორჟ ...
84. ქვანახშირის აუზი გერმანიაში
85. იუმორისტი ... ხაზანოვი
86. არგენტინული ცეკვა
87. მომღერალი ... ტატიშვილი
88. ტანსაცმლის აქსესუარი
89. ქართველი გლეხის ფეხსაცმელი
90. ბალერინა გალინა ...
91. კუნძული მალაის არქიპელაგში
92. სკანდინავიური თქმულება
93. ღარიბის საპირისპირო
94. მომღერალი ... რიდი
95. მსახიობი ... ფერტი
96. ბაგე
97. შიიზმის მიმდევარი
98. აბელის ძმა
99. მსახიობი მაიკლ ...
100. ოპერა „მოცარტი და ...“
101. რუსული ესტრადის მომღერალი
102. მხ/ფ „ჩარლის ...“
103. სიყვარულის ღმერთი ზიჟუნა
104. სამშობლოს მონატრება
105. სამკურნალო მცენარე
106. ქალაქი საფრანგეთში
107. გოგოლის მოთხრობა
108. ... გათეთრდების ყორანი
109. ორატორის მაგიდა
110. იგი პიეროს უყვარდა
111. მომავლის რწმენა
112. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
113. ველური ვაშლი
114. ნათურის აჟურული საფარი
115. ბულგარული ფულის ერთეული
116. კოსმონავტიკის „მამა“
117. სოფელი დუშეთის რაიონში
118. მწერალი ... პირანდელო
119. ცეცხლის ადგილი კედელში
120. „... მიუნჰაუზენის თავგადას“
121. ნორვეგიის დედაქალაქი
122. არენდა
123. მსახიობი კრის ...
124. მაინას საპირისპირო ბრძანება
125. „მატრიცა“ ჰაკერი
126. მსახიობი მარისა ...
127. ჩოგბურთელი ... ნავრატილოვა
128. „გაზაფხული მემოსულა ...“
129. ფალიაშვილის ოპერა
130. სპილბერგის უცხოპლანეტელი
131. მწერალი ალბერტო ...
132. საყანედ გაჩეხილი ტყე
133. შეძახილი ტკივილისას
134. მხ/ფ „ამერიკული ...“
135. მსახიობი ... დე ფიუნესი
136. პურის საცხობი კახეთში
137. სულების გამოძახება
138. ანწლი
139. ბაღჩეული
140. მტაცებელი ფრინველი
141. რეჟისორი ... დე ბონტი

პასუხები: 1. კორპორაცია; 2. ბახალა; 3. კარნეგი; 4. სინოდი; 5. ავანზალი; 6. რახმანინოვი; 7. კიპლინგი; 8. ასლი; 9. ლამანჩელი; 10. ალმა; 11. ათინათი; 12. ოსტანკინო; 13. გოია; 14. ლიგა; 15. ლუპა; 16. აიაზმა; 17. ბაია; 19. ჰავანა; 19. ათეისტი; 20. მსაჯი; 21. ტიციან; 22. ფარჩა; 23. აბსენთი; 24. ქარვა; 25. ხმალი; 26. ანიმაცია; 27. კაკანათი; 28. ვალაბი; 29. ინა; 30. ტოვსტონოგოვი; 31. სარაბანდა; 32. დიპლომი; 33. მინესოტა; 34. ლაინერი; 35. ლიახვი; 36. კრის; 37. იულ; 38. იანი; 39. ჯარა; 40. კვართი; 41. პინა; 42. ენდოკრინოლოგი; 43. ჯაილი; 44. ნანკა; 45. ხინჯი; 46. ოკა; 47. ინდიგო; 48. სტაბილური; 49. კაუჩუკი; 50. ალან; 51. სათავე; 52. „მანანა“; 53. ლენონი; 54. ოდრი; 55. ტორნადო; 56. რინიტი; 57. ამალა; 58. გრეიპფრუტი; 59. ენდრიუ; 60. კაპუცინების; 61. დიუმა; 62. სრუტე; 63. განგი; 64. ძე; 64. კალანდაძე; 66. გვადი; 67. მანავი; 68. მაიორი; 69. ოსაკა; 70. კვირა; 71. განგური; 72. სერ; 73. „ირმისა“; 74. დოლი; 75. მინგეჩაური; 76. ლორნეტი; 77. იტალია; 78. დუმა; 79. ბიძინა; 80. ბილიკი; 81. ირისი; 82. რეგიონი; 83. სანდი; 84. რური; 85. გენადი; 86. ტანგო; 87. ნოდიკო; 88. ჯიბე; 89. ქალამანი; 90. ულანოვა; 91. კალიმანტანი; 92. საგა; 93. მდიდარი; 94. დინ; 95. კოლინ; 96. ტუჩი; 97. შიიტი; 98. კაენი; 99. დუგლასი; 100. სალიერი; 101. ალსუ; 102. დეიდა; 103. ამური; 104. ნოსტალგია; 105. ასკილი; 106. ავინიონი; 107. „ვიი“; 108. არ; 109. ტრიბუნა; 110. მალვინა; 111. იმედი; 112. აჩი; 113. მაჟალო; 114. აბაჟური; 115. ლევი; 116. ციოლკოვსკი; 117. მლეთა; 118. ლუიჯი; 119. ბუხარი; 120. ბარონ; 121. ოსლო; 122. იჯარა; 123. ოდონელი; 124. ვირა; 125. ნეო; 126. ტომეი; 127. მარტინა; 128. ლენ; 129. „დაისი“; 130. ითი; 131. მორავია; 132. ახო; 133. ვაი; 134. სილამაზე; 135. ლუი; 136. თონე; 137. სპირიტიზმი; 138. ავი; 139. საზამთრო; 140. მიმინო; 141. იან. იკითხება: ორლანდო ბლუმი.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



## ძალიან უცნაური და სისხლიანი სპორტის სახეობა იაპონიიდან



იაპონია ნამდვილად არ არის მხოლოდ ისეთი სახელმწიფო, რომელიც მსოფლიოს უახლესი ტექნოლოგიური მიღწევებით ანებივრებს, არამედ იაპონია საკმაოდ უჩვეულო ტრადიციებისა და გატაცებების მქონე ქვეყანაც გახლავთ, რაზეც კიდევ ერთი ნათელი მაგალითი მეტყველებს – ამომავალი მზის ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე უცნაური და სისხლიანი სპორტის სახეობა შემოიღეს, რომელიც დღის განათების ნათურებით ბრძოლას გულისხმობს.



საერთოდ, იაპონიაში ძალადობის ელემენტების მქონე უამრავი სანახაობა არსებობს, მაგრამ ეს უკვე, ალბათ, მეტისმეტიცაა. თუკი არ გჯერათ, ჩვენ სპორტული შეჯიბრის ფოტოებს გთავაზობთ, დასკვნა თავად გამოიტანეთ: ძალ-ღონით სავსე იაპონელები ერთმანეთს თავზე ათობით ნათურას ალეწავენ, შემდეგ ნამსხვრევებში ჭიდაობენ და გამარჯვებული ის ხდება, ვინც სისხლის ნაკლებობისგან და ჭრილობებისგან უფრო გვიან დაეცემა.

*strannsoti.ru*

## რუსი დეპუტატები გაუპატიურებისგან დააზღვიეს



როგორც ჩანს, რუსი დეპუტატები იმსახურებენ და შესაბამისად, დაფიქსირდა კიდეც მათი გაბახების მცდელობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩინოვნიკებს, ალბათ, არც დააზღვევდნენ. ყოველ შემთხვევაში, თანამდებობის პირებს გაუპატიურებისგან არც ერთ ქვეყანაში არ აზღვევენ.

როგორც ირკვევა, პირველ ეტაპზე გაუპატიურებისგან დასაზღვევი პაკეტი სვერდლოვსკის საოლქო სათათბიროს დეპუტატებმა მიიღეს. სადაზღვევო თანხის მოცულობა თითოეულ გაუპატიურებულ რუს დეპუტატზე 500 ათას რუბლს (დაახლოებით 28 ათას ლარს) შეადგენს.

*d-awards.ru*

## გამოუცდელ მძღოლებს ღამის საათებში მოძრაობას აუკრძალავენ



ნისლიან ალბიონზე შესაძლოა, ე.წ. საფეხურებიანი მართვის მოწმობების გაცემა დაიწყოს, რომელიც ახალბედა მძღოლებისთვის გარკვეულ შეზღუდვებს გულისხმობს.

ასეთ სისტემას უკვე იყენებენ კანადაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიასა და ამერიკის ბევრ შტატში, რომელთა რიგებს სავარაუდოდ, დიდი ბრიტანეთიც მიემატება.

ბევრისთვის მიუღებელი წესების თანახმად, იზღუდება გამოუცდელი მძღოლების მოძრაობა, რომელთა საჭესთან ჯდომის სტაჟი 2 წელზე ნაკლებია. მაგალითად, მათ ღამის საათებში გადაადგილების უფლება ჩამოერთმევათ.

შეზღუდვების გაუქმება ეტაპობრივად ხდება, რაც დროში საკმაოდ გაწელილი პროცესია და ნისლიან ალბიონზე სერიოზულ აღშფოთებას იწვევს, თუმცა რეფორმების მოსურნე კანონმდებლები უკან დახევას არ აპირებენ და იმაზეც კი არ ფიქრობენ, მაგალითად, ახალბედა მძღოლს გზაში რომ დააღამდეს, როგორ უნდა მოიქცეს.

*autonews.ua*

## ინგლისელი სახელმწიფო მოხელეები ჰეტეროსექსუალობაზე ტესტს აბარებენ




კულტურულად ამ ფაქტს ბრიტანელები „ტესტს“ უწოდებენ, ადამიანური სახელით კი ჩვენ მოვნათლავთ, რომელიც ზუსტად ასე ჟღერს: „სისულელე“!..

ტესტის ავტორთა განმარტებით, მათი მიზანია, ჰეტეროსექსუალებმა გეებსა და ლესბოსელებს უკეთ გაუგონ და სპეციალური ფსიქოლოგიური კურსის გავლა სახელმწიფო მოხელეებს სწორედ ამიტომ მოუწევთ.

ტესტში შეტანილია, მაგალითად, ასეთი კითხვები: „რატომ ხართ ჰეტეროსექსუალი?“, „შესაძლოა, თუ არა ვივარაუდოთ, რომ ჰეტეროსექსუალი შიშის გამო ხართ?“, „თუკი არასოდეს წოლილხართ თქვენი სქესის ადამიანთან, რა იცით, რომ ეს არ მოგეწონებოდათ?“ და კიდევ ბევრი მსგავსი სისულელე.

– ტესტირების მიზანია, ადამიანებს შორის, რომელი ორიენტაციისაც არ უნდა იყვნენ ისინი, უკეთესი ურთიერთკავშირი და ურთიერთგაგება დამკვიდრდეს, – ამბობენ ინიციატორები.

საინტერესოა, რომ აღნიშნული ტესტი მხოლოდ ერთი ნაწილია იმ პროექტისა, რომლის განხორციელებაც დიდ ბრიტანეთში უახლოეს მომავალში იგეგმება და რომელიც ნორმალური და არანორმალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს შორის უფრო ადვილი ურთიერთობის დამყარებისთვის ჩატარდება. მაგალითად, ასევე, მომზადებულია სემინარი თემაზე: „მოგზაურობა ჰომოსექსუალიზმის სამყაროში“.

თუკი არცთუ შორეულ წარსულში ადამიანები გულივერთან ერთად ლილიპუტების სამყაროში მოგზაურობდნენ, ახლა ჰომოსექსუალიზმის სამყაროში გაინავარდებენ და თუ რამეზე წამოეგებიან, სულ ამ სისულელის ავტორთა ჯანში იყოს!..

*etotupo.ru*

## მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბინა 240 მილიონი ევრო ღირს



და რაც ყველაზე მთავარია, აპარტამენტებს, რომელიც მონტე-კარლოში მდებარეობს, მყიდველი გამოუჩნდა.

ბედნიერი, რომელმაც მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ბინა შეიძინა, აღმოჩნდა ადამიანი ახლო აღმოსავლეთიდან, თუმცა მისი ვინაობა, რაღა თქმა უნდა, არ ზუსტდება.

აპარტამენტებში სულ სამი საძინებელია, თუმცა თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი სამზარეულო, ორი აბაზანა, საგარდერობო და საოჯახო კინოთეატრი. ასევე, ბინაში გამოყოფილია ოთახი სპა-პროცედურებისთვის, ბიბლიოთეკა და ღია ტერასა.

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ბინის ფართობი 1625 კვადრატული მეტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ 1 კვადრატული მეტრის ღირებულება 150 ათასი ევროა.

წარსულში ბინა ბრიტანელ ბიზნესმენებს ეკუთვნოდათ, რომლებიც მთელ სახსრებს ელიტარულ სახლებში დებდნენ. სამწუხაროდ, არც მათი ვინაობა ზუსტდება, თუმცა დიდი ეჭვი გვაქვს, ამ სარფიანი გარიგებით თავს ძალიან ბედნიერად უნდა გრძნობდნენ.

*myjane.ru*

## მსოფლიოს ყველაზე ასაკიანი მეძავი... 82 წლისაა?!



ძალიან ცნობილმა გამოთქმამ: „უძველესი პროფესია“, ახალი მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც ტაივანის პოლიციამ 82 წლის ქალი, მეტსახელად „ბებია“ დააპატიმრა, რომელიც მოგვიანებით თავად ტაივანმა და მთელმა მსოფლიომ ყველაზე ასაკიან მეძავად აღიარა.

ტაივანური მედია მხოლოდ იმას აკონკრეტებს, რომ მსოფლიოს ყველაზე მხცოვანი მეძავის სახელი ჩუ ყოფილა. ამასთანავე, ვრცელდება ძველისძველი ფოტოც, რომელზეც, სავარაუდოდ, ჩუ ბებიას მიერ მეძავობისკენ გადადგმული პირველი პერიოდია აღბეჭდილი.

რაც ყველაზე გასაოცარი და შემზარავია, 82 წლის მეძავი ტაივანში უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან მსურველებს მომსახურებას 10-ჯერ და 20-ჯერ იაფად სთავაზობდა.

რა ბედი ელის გარყვნილ „ბებიას“, არ კონკრეტდება.

*diary.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



– ექიმო, მუცლის ჭიებს როგორ ვუმკურნალო?

– და რა მოხდა, რამე აწუხებთ?

*****



– გითქვამს ცოლისთვის ოდესმე, რას ფიქრობ მასზე?

– კი, როგორ არა! გინდა, გაჩვენო ჭრილობა მკერდის არეში?

*****

10-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, რას იტყვი ამდენი წლის შემდეგ – გამარჯვებული ხარ თუ დამარცხებული?

– ეჰ, ძვირფასო, რაც დრო გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ დაზარალებული ვარ, დაზარალებული!!!

*****

რიგითი მოქალაქე უთენია პარლამენტში მივიდა, დეპუტატებთან რაღაც პრობლემის მოგვარებაზე სურდა საუბარი. ხედავს, შენობაში კაციშვილი არ არის, მხოლოდ დარაჯია.

– უკაცრავად, დილაობით აქ არავინ მუშაობს?

– არა, ბატონო, აქ დღისით არ მუშაობს არავინ, დილაობით კი არავინ მოდის...

*****

– საყვარელო, ხომ არ იცი, სახედრები რამდენ ხანს ცოცხლობენ?

– რა იყო, შეუძლოდ ხარ?

*****

– მოქალაქე ლამზირა გ.-ძე, როგორ შეძელით ასეთი საშიში სექსუალური მანიაკის დაკავება?

– რა გითხრათ, ბატონო მოსამართლე — დილისთვის უკვე ძალა აღარ ეყო, გაეგრძელებინა და მეც ზუსტად ამ დროს ჩავცხე თავში ბოთლი!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მეცნიერებმა მოიფიქრეს, როგორ გადაარჩინონ ტვინი ინსულტის შემდეგ



ჰოლანდიურ-გერმანული სამედიცინო კვლევითი ჯგუფის წევრებმა აღმოაჩინეს ფერმენტი, რომელიც ინსულტის შედეგად ნერვული უჯრედების განადგურებაზეა პასუხისმგებელი.

სპეციალისტების განმარტებით, ახლად აღმოჩენილი ფერმენტი, სახელწოდებით „ნოქს 4" წარმოქმნის წყალბადის ზეჟანგს – კაუსტიკურ მოლეკულებს, რომლებსაც სხვადასხვა მათეთრებელი საშუალება შეიცავს და რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობაზე უკიდურესად ნეგატიურ გავლენას ახდენს.

სწორედ „ნოქს 4"-ის აღმოჩენამ გახადა შესაძლებელი, შექმნილიყო ექსპერიმენტული პრეპარატი, რომლის გამოცდებიც ამ დროისთვის ლაბორატორიულ თაგვებზე ტარდება და წინასწარ მიღებული შედეგებით უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ საშიში ფერმენტის გამომუშავების შეფერხება შესაძლებელი გახდა. შესაბამისად, ტვინის ნერვული უჯრედების განადგურების ტემპებიც შემცირდა.

უნდა ითქვას, რომ იშემიური ინსულტი მსოფლიოში რიგით მეორე დაავადებაა, რომელიც ადამიანების გარდაცვალებას იწვევს. დღეისთვის არსებობს ინსულტის მკურნალობის მხოლოდ ერთი მეთოდი და სპეციალისტების თქმით, მისი ეფექტურობაც არცთუ მაღალია. ესეც რომ არ იყოს, უკუჩვენებების გათვალისწინებით, ამ მეთოდის გამოყენება შემთხვევათა მხოლოდ 10 პროცენტშია შესაძლებელი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჰოლანდიელი და გერმანელი მეცნიერების მიღწევა უმნიშვნელოვანესია, მით უმეტეს, რომ თაგვების მკურნალობის შემთხვევაში უკუჩვენებები აღმოჩენილი არ ყოფილა.

როდის დაიწყება ახალი პრეპარატის გამოცდა ადამიანებზე, სამწუხაროდ, არ ზუსტდება.

*rnd.cnews.ru*

## დედამიწის მოსახლეობის 80 პროცენტი უახლოეს მომავალში წყლის გარეშე დარჩება?



სწორედ ასეთი შემზარავი დასკვნა გამოიტანეს ნიუ-იორკისა და მიჩიგანის შტატის ტექნოლოგიური უნივერსიტეტების სპეციალისტებმა, რომლებიც ჩატარებული მასშტაბური კვლევითი სამუშაოების შემდეგ ფიქრობენ, რომ დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი, ანუ თითქმის 5 მილიარდი ადამიანი უახლოეს მომავალში წყლის გარეშე დარჩება.

კვლევის ავტორთა ინფორმაციით, სწორედ მათ ჩაატარეს მსოფლიოს წყლით მომარაგების საკითხის პირველი გლობალური ანალიზი და, სამწუხაროდ, იმედისმომცემი ვერაფერი აღმოაჩინეს.

სასმელად ვარგისი წყლის რეზერვუარების მდგომარეობა ამერიკელმა მეცნიერებმა 23 სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით შეისწავლეს, მათ შორის, დამბებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობების შედეგების, სოფლის მეურნეობისგან გამოწვეულ დატვირთვისა და გარემოს დაბინძურების კუთხით.

– წყლის მარაგის ნაკლებობა უკვე 2015 წლისთვის გახდება საგრძნობი, შემდგომში კი ეს პროცესი შეუქცევად ხასიათს მიიღებს, – მიიჩნევენ ამერიკელი მეცნიერები.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*kazakh-zerno.kz*

გაზეთი ალია

**სამუშაოდ იწვევს სააგენტოების ინფორმაციებზე მუშაობის გამოცდილების მქონე ჟურნალისტს**

ტელეფონი: 577 74-99-89 თამაზ ბესტავაშვილი

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**27 თებერვალი:** დღეს უამრავ ინფორმაციას მიიღებთ. დარწმუნდით, რომ თქვენი გარემოცვიდან ინფორმაცია არ ჟონავს. კარგად დაცული და გადამუშავებული ინფორმაციები ცხოვრებას გაგიადვილებთ.

**კურო 22.04-21.05**

**27 თებერვალი:** ნებისმიერი მარტივი საქმე რთული მოგეჩვენებათ და პირიქით, რთული – მარტივად. დროა, რთული საქმეების მოგვარება დაიწყოთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**27 თებერვალი:** ერთადერთი რამ, რამაც შეიძლება ეს დღე გააუფეროს, თქვენი ჩვევა იქნება – კომფორტისკენ სწრაფვა. დღეს ჩამოჯდომის საშუალებაც კი არ გექნებათ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**27 თებერვალი:** თვალებს გაუფრთხილდით, მოერიდეთ ყველაფერს, რამაც შეიძლება მხედველობის პრობლემა შეგიქმნათ.

**ლომი 23.07-22.08**

**27 თებერვალი:** დატკბით წვრილმანებით. თუმცა, შეიძლება ამ წვრილმანებში ძალიან მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**27 თებერვალი:** შეიძლება სწორედ ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეთ, რომელსაც თავს არიდებდით. სხვადასხვა ჟესტებით თავს ვერ დაიძვრენთ, შესაბამისი იდეა გჭირდებათ.

**სასწორი 23.09-22.10**

**27 თებერვალი:** როგორც ჩანს, კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. ეს ბევრად სჯობია ღია კონფლიქტში შესვლას, რასაც ისედაც ნებისმიერ დროს მოახერხებთ.

**მორიელი 23.10-21.11**

დღეს თქვენი შეჩერება ძალიან რთული იქნება. ძალიან ენერგიული და აქტიური იქნებით, თუმცა შეიძლება სრულიად უმიზნოდ და უაზროდ იმოქმედოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**27 თებერვალი:** შეიძლება თქვენი მოთმინება საკმაოდ რთული გამოცდის წინაშე დადგეს და ამის მიზეზი თქვენი ნათესავები და ახლობლები აღმოჩნდნენ. ერთადერთი, რამ რაც ასეთ შემთხვევაში შეგიძლიათ, ისაა, რომ სახეზე სრული თანხმობის გამომეტყველება აღიბეჭდოთ, იქნებ შეგეშვან.

**თხის რქა 22.12-19.01**

**27 თებერვალი:** დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ, რას ილაპარაკებენ თქვენს ზურგს უკან. არავის მოუსმინოთ, აკეთეთ ის, რაც გინდათ, კატასტროფული არაფერი მოხდება.

**მერწყული 20.01-18.02**

**27 თებერვალი:** რაც არ უნდა ხდებოდეს, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იქნებით. ამისგან თავის დაღწევას ვერ შეძლებთ, ამიტომ მოთმენა მოგიწევთ.

**თევზები 19.02-20.03**

**27 თებერვალი:** შეიძლება დღეს ოდესღაც მიცემული დაპირება შეგახსენონ. შესაძლოა, ღირს მისი შესრულება, თუნდაც ეს კარგ იდეად არ მოგეჩვენოთ.

## მიცვალებული კუბოში ჩასვენების ნაცვლად... მოტოციკლზე შემოსვეს



ეს გაუგონარი შემთხვევა პუერტო-რიკოს დედაქალაქში, სან-ხუანში მოხდა, სადაც ადგილობრივმა დამკრძალავმა ბიურომ რატომღაც, მიცვალებული კუბოს ნაცვლად მოტოციკლზე შემოსვა. როგორც ჩანს, დაკრძალვის ორგანიზატორებს ტრადიციული მეთოდი ზედმეტად ბანალურად მოეჩვენათ და... იქაური მედიის ინფორმაციით, 22 წლის დევიდ მორალესის ბალზამირებული ცხედარი მოტოციკლზე ისე შემოსვეს, თითქოს, ის რბოლაში მონაწილეობდა...

რაც ყველაზე უცნაურია, ჭირისუფალს მიცვალებულთან გამომშვიდობების ასეთი ფორმა ძალიან მოეწონა, რადგან ახალგაზრდას, რომელიც ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა მოკლეს, მოტოციკლი ძალიან ყვარებია...

სხვათა შორის, სან-ხუანში იმავე დამკრძალავ ბიუროს, რომელსაც დევიდ მორალესის მოტოციკლზე დასმის იდეა ეკუთვნის, ამ ცოტა ხნის წინ 24 წლის ახალგაზრდის ცხედარი ფეხზე დაუყენებია და ჭირისუფალი მას ასეთ უჩვეულო სიტუაციაში დასტიროდა...

ნეტავ, ის გაგვაგებინა – საიდან ან რატომ მოსდით ასეთი უაზრო აზრები ადამიანებს თავში?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*etotupo.ru*



კოტე ბაზარში ქილაში ჩასმულ კოღოს ყიდის. ქილაზე წარწერაა: „მამაკაცების შემცვლელი — 20 ლარი". კოტეს „ტავარით" ერთი მომხიბვლელი ქალი დაინტერესდა:

– როგორ უნდა გამოვიყენო?

– მარტივად — სახლში რომ მიხვალთ, გაშიშვლდით, ქილას თავი მოხსენით და დაწექით... თუ რამე პრობლემა შეიქმნა, დამირეკეთ. აგერ, ჩემი ნომერიც...

საღამოს კოტეს ტელეფონი ურეკავს:

– მოვედი, გავშიშვლდი, გამოვუშვი, დავწექი, კოღო კი ჭერს მიაფრინდა და მორჩა...

– იწექით, არ გაინძრეთ, ახლავე გამოვდივარ!

შევარდა კოტე კლიენტთან და კოღოს მიაძახა:

– ოე, იდიოტო, მიყურე და დაიმახსოვრე – უკანასკნელად გაჩვენებ!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი (აკრედიტებული, ავტორიზებული) „საზღვაო სასწავლო ცენტრი „ანრი" აცხადებს მიღებას უმაღლესი (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ სპეციალობებზე.** საზღვაოსნო მეცნიერებები: (საზღვაო ნავიგაცია)

საზღვაოსნო მეცნიერებები: (გემის მექანიკა)

**მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე**

**მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ სპეციალობებზე:**

**გემის მეზღვაური (მატროსი)**

**სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მატორისტი)**

**მიღება ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე, სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი.**

**მესამე საფეხურის ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდეგ სპეციალობებზე: გემის მეზღვაური (მატროსი)**

**სამანქანე განყოფილების მეზღვაური (მატორისტი)**

**მისამართი: საქართველო, ბათუმი. ხიმშიაშვილის ქ. №7.**

**ტელეფონები: 593 40 22 18; 0422 21 07 57.**

**WWW.MTC-ANRI.GE**

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია" და „კვირის ქრონიკა"**

ალია »211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212033 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ბადრი ძევანიშვილი

**გაზეთ „ალიაში"** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80 ან 233 20 06
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge

®

დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.15